ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 31 მაისი, 2021 №95 (8624) ფასი: 60 თეთრი

## ნაცმოძრაობა პარლამენტში შედის

7-თვიანი ბოიკოტი დასრულდა

გვ.3




# „გახარიას რეიტინგი ბუშტივით გასკდება. ამ გუნდით ის მაქსიმუმ 10%-ს აიღებს“

გვ.2



ლადო სადღობელაშვილი: „ძველი გახარია სადღაც გაქრა და აორთქლდა“

„გახარია პიარის ნამუშევარია და მეტი არაფერი. ვერ იქნება ვერავინ ივანიშვილზე მაღლა მდგომი, რომელიც მოდის „ქართული ოცნებიდან!“





## ნინო ბურჯანაძე: „ოპოზიციას კოორდინაცია თუ არ გვექნება, წაგება გარდაუვალია“

გვ.2

„ჰესები უნდა აშენდეს, გიგანტურს ვეწინააღმდეგები, ოქროს შუალედის მოძებნა ნამდვილად შეიძლება“

## „გახარია მხოლოდ ბოდიშების დიდოსტატია“

დავით ჭიჭინაძე: „გახარიას „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციას არ გამოვრიცხავ“

გვ.3



## „გაზის გაძვირებაში კალაძის, ივანიშვილის, მამაცაშვილისა და ჩხარტიშვილის ინტერესებია“

გიორგი გუგავა: „ბიტკოინების წარმოებით ჩინეთისა აშშ-ის შემდეგ მესამე ადგილზე ვართ“

გვ.4



## რაზე ისაუბრებენ ამერიკელი სენატორები საქართველოში?

გვ.4



ჯინ შაჰინი: „აშშ მოწადინებულია, ხელი შეუწყოს საქართველოსა და უკრაინას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაში“

ISSN 1987-9385

5 ბათუმში ლიბერთი ბანკიდან 3,5 მილიონი ლარი მოიპარეს

კასპში მოკლულ ნოდარ ლუნაშვილს კისერზე 19 ჭრილობა აღმოაჩნდა

3 დავით ბერძენიშვილი: „გახარია პოლიტიკური კათროვანია“

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.332 ფაქტი გამოავლინა

6 გერმანიამ მის მიერ ნამიბიის 2 ტომის განადგურება გენოციდად აღიარა

# „გახარიასთან თანამშრომლობის პრობლემას ვერ ვხედავ“

## ნინო ბურჯანაძე: „ოპოზიციას კოორდინაცია თუ არ გვექნება, წაგება გარდაუვალია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა გზავნილები იყო მისთვის დასამახსოვრებელი ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას პარტიის პრეზენტაციიდან? ითანამშრომლებს თუ არა თავად გახარიასთან და უნდა ითანამშრომლოს თუ არა ოპოზიციამ ექსპრემიერთან? ვის ინტერესებშია ოპოზიციის დაქსაქსულობა და ის, რომ მათ შორის კოორდინაცია არ იყოს? რა გარანტიაა, რომ არსებული მახინჯი სისტემა კოალიციური მთავრობის პირობებში შეიცვლება? უნდა აშენდეს თუ არა ჰესები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.**

***— ყოფილი პრემიერის პარტიის პრეზენტაციაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილი გაჟღერდა. პირადად თქვენთვის რა იყო დასამახსოვრებელი?***

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ნათელი გზავნილები ან ნათელი პოზიციები იყო გამოხატული. ვფიქრობ, რომ გახარიას დასჭირდება თავისი პოზიციების უფრო მკვეთრად გამოხატვა ყველა თემასთან და ყველა კითხვასთან დაკავშირებით. მას ყველაზე მეტად თავისი პოზიციის გამოკვეთა დასჭირდება ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით — როგორ აფასებს ბიძინა ივანიშვილის როლს დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში და როგორ აფასებს მმართველობის იმ სტილს, რომელიც ივანიშვილმა შექმნა.

***— ამაზე მინიშნება გააკეთა, თქვა, ჩვენ მოვდივართ საქართველოსთვის და არავის წინააღმდეგო. ეს ნიშნავს, რომ ბიძინას წინააღმდეგ არ მოდის?***

— ეს არის ძალიან ზოგადი ნათქვამი, რომელიც დიპლომატიური გზავნილიც კი არ არის. ეს არ არის არაფერი, ცარიელი ფრაზაა. მესმის, რომ შეიძლება რთული იყოს ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირება. როდესაც ასეთ ნაბიჯს დგამ, შენი პოზიცია უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული. შეიძლება, ეს შენთვის ადამიანურად დისკომფორტი იყოს, მაგრამ საზოგადოებას სჭირდება ნათელი და მკაფიო გზავნილები. ახალი ზელანდიისთვის მოვდივაროო, არავინ იტყვის, ამიტომ საჭიროა თქვას, რაში გამოიხატება ის, რომ საქართველოსთვის მოდის. ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს პოზიცია და პრიორიტეტები, შეაფასოს დღევანდელი მმართველობა; თქვას, ვინ შეუშალა ხელი, როდესაც ის იყო შს მინისტრი ან პრემიერი; რას აპირებს, თუ მოვა ხელისუფლებაში და ა.შ.



**„ჰესები უნდა აშენდეს, გიგანტურს ვეწინააღმდეგები, ოქროს შუალედის მოძებნა ნამდვილად შეიძლება“**

***— ნეპოტიზმსა და კორუფციაზე ილაპარაკა მან და ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, პრემიერი როდესაც იყო, რატომ არ იმუშავა ამ მიმართულებით და მოუწევს თუ არა ამაზე პასუხის გაცემაც?***

— რა თქმა უნდა. მას ყველანაირ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუწევს. ამიტომ ვამბობ, რომ მან უნდა თქვას, რა უშლიდა ხელს, განეხორციელებინა ის მიმართულებები, რომლებიც სწორად მიაჩნდა. მე გახარიას ხელისუფლებაში მოსვლას გამოვრიცხავ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, მაგრამ მან უნდა თქვას, როგორ ხედავს ქვეყნის მართვის სტილსა და განვითარებას.

***— ოპოზიციაში თითქოს გაავლეს ხაზები გახარიასთან და თან ამბობთ, რომ ის ხმებს წაართმევს ოპოზიციას. რეალურად გჭირდებათ ასეთი მოთამაშე. უნდა ითანამშრომლოს თუ არა მასთან ოპოზიციამ?***

— რა თქმა უნდა, გახარია წაიღებს „ოცნების“ ხმებს და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მე საერთოდ ვერ ვხედავ ადამიანთან თანამშრომლობის გარკვეული კოორდინირების პრობლემას, თუ მას იგივე ამოცანა და მიზანი ამოძრავებს, რაც მე. ამის მაგალითი იყო 8 მარტის შეთანხმება, ბოიკოტის მიღების გადაწყვეტილება. მიუხედავად განსხვავებებისა თუ სიმპათია-ანტიპათიისა, მივედით საერთო გადაწყვეტილებამდე.

მან უნდა დაასახელოს დღევანდელი ოპოზიციის მიმართ თავისი დამოკიდებულება. ოპოზიციონერობა გამოიხატება იმით, რამდენად რეალურად უპირისპირდება ესა თუ ის პოლიტიკური ძალა ხელისუფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში მე არ მგონია, რომ ოპოზიციამ კრიტიკის განსაკუთრებული დრო გახარიაზე უნდა დახარჯოს, იმიტომ რომ, რა ხმებსაც ის აიღებს, ის მას წაართმევს „ქართულ ოცნებას“. 43%-იანი გაუგებარი ზღვრის დროს მნიშვნელოვანია, „ოცნება“ რაც შეიძლება მეტი ოპონენტის წინაშე აღმოჩნდეს. შემდეგ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

***— თანამშრომლობის კუთხით გარკვეული გზავნილი გააკეთა, როდესაც თქვა, რომ ვერ ხედავს პრობლემას, ღირსეულ კანდიდატს მხარი დაუჭიროს, რომელი პარტიიდანაც არ უნდა იყოს ის. ეს არის იმის ნიშანი, რომ მზადაა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობისთვის?***

— ეს სწორი გზავნილია მისი მხრიდან. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გახარია ყველა დანარჩენთან შედარებით უფრო სოლიდურად და ნორმალურად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმ ჩავარდნებისა, რომლებიც იყო. როგორც მინიმუმ, მისი გამოსვლებიდან უზრდელობის მაგალითები არ მახსოვს. ვნახოთ, თუ იქნება საერთო ოპოზიციური კოორდინირება და თუ ის ნამდვილად ოპოზიციურ ფლანგზე იბრძოლებს და ჩაერთვება ამ ბრძოლაში, მე პირადად არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს. ამომრჩეველი გადაწყვეტს, გახარიას მისცეს ხმა, ბურჯანაძეს, სააკაშვილს, ბოკერიას, „ლელოს“ თუ ვის.

***— მან სასამართლოზე თქვა, 10-15 წლის წინანდელ სასამართლოზე გაცილებით უკეთესი სასამართლოა, მაგრამ ეს საკმარისი არ არისო. ასეა?***

— მე არ დავეთანხმები ამაში, არაფრით უკეთესი არ არის ეს სასამართლო იმ სასამართლოზე, რომელიც წლების წინ გვქონდა. მეორეც, ოდნავ უკეთესიც რომ იყოს, ეს დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება, იმიტომ, რომ ცხოვრება წინ მიდის და ის, რაც 15 წლის წინ სამი ქულით უნდა შეგეფასებინა შეფასების ხუთბალიან სისტემაში, დღეს ის შეიძლება 1 ქულით შეაფასო, იმიტომ,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „გახარიას რეიტინგი ბუშტივით გასკდება. ამ გუნდით ის მაქსიმუმ 10%-ს აიღებს“

## ლადო სადღობელაშვილი: „ძველი გახარია სადღაც გაქრა და აორთქლდა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***— ლადო, შაბათს, 29 მაისს, გიორგი გახარიას პარტიის პრეზენტაცია გაიმართა. მოვისმინეთ მისი გზავნილები და განცხადებები. ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვერთიანდებით, ვერთიანდებით საქართველოსთვისო. ბევრს ჰქონდა მოლოდინი, რომ ის ღიად დაარტყამდა ივანიშვილს, თუმცა ამ საკითხს გახარიამ გვერდი აუარა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ და რა ამოიკითხეთ მის გზავნილებში?***

— ძალიან ყურადღებით ვუსმენდი მის განცხადებას და ამ პარტიის პრეზენტაციას. მე, პირადად, იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, მგონია, ამ ადამიანს პარტიის გაკეთება და პოლიტიკაში დაბრუნება არ სურდა. მისმა გუნდმა და, სავარაუდოდ, ძალოვნებმა, რომლებიც მისი პრემიერობისას მის გუნდს წარმოადგენდნენ, აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა.

***— პოლიტიკური თავშესაფარი სჭირდებათ?***

— დიახ, პოლიტიკური თავშესაფარი. რაც ვნახე, ეს ის გახარია არ იყო, რომელსაც მე გასული 2-3 წელი ვუყურებდი. სულ სხვანაირი გახარია იყო. ის მძიმე ხელი გახარია სადღაც გაქრა, აორთქლდა. ასეთი გახარია ველარ დავინახე. ცუდი შედარება გამომდის, მაგრამ სააკაშვილის ნებისმიერი სკაიპით ჩართვა მეტ ქარიზმასა და ცეცხლს ანთებს ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გახარიას განცხადება უფრო ნაძალადევს ჰგავდა.

***— მისი გუნდი არ არის იმ წონის, რომ ასე მარტივად გადაეწყვიტა გახარიას ბედი. გაჩნდა კითხვა, ხომ არ არის ის ბიძინას პროექტი?***

— გახარიას ქმედებები გამომდინარეობს სწორედ მისი გუნდის სურვილებიდან, თუ შეექმნებათ პრობლემები, მერე რომ თქვან, ეს პოლიტიკური დევნააო. პოლიტიკური თავშესაფარი სჭირდებათ. რაც შეეხება იმას, თუ ვისი პროექტია გახარია, ცოტა უთავმოყვარეო განცხადებები მოვისმინეთ მისგან, როდესაც მან განაცხადა, არავის პროექტი არ ვყოფილვარ და არც ვიქნებიო.

ამიერიდან იქნება თუ არა, ეს მეორე საკითხია, მაგრამ, რომ იყო, ამას წყალი არ გაუვა. ხელით გამოიყვანა ივანიშვილმა და ისე წარგვიდგინა პრემიერად და ახლა როგორ შეიძლება, ამ ადამიანმა იკადროს და თქვას, არავის პროექტი არ ვიყავიო. პროექტი იყო იმ დღიდან, როგორც კი კანცელარიაში მიიყვანეს.

***— ყველაფერზე ისაუბრა, ბიძინა ივანიშვილს კი მაქსიმალურად გვერდი აუარა.***

— ჩემი აზრით, სწორედ იმიტომაც აუარა გვერდი, რომ ეს მისი გადაწყვეტილება არ არის. მე არ გამოვრიცხავ, რომ ისინი, ვინც აიძულებენ მას ასეთი ქმედებისკენ, იყვნენ ივანიშვილის გავლენის ქვეშ.

***— ანუ არიან შუამავლები მას და ივანიშვილს შორის?***

— კი, ასეა და რაც ჩვენ ვიხილეთ, გახარიას გადაწყვეტილება არ იყო. შეადარეთ გახარიას რამდენიმე წლის წინანდელი ფოტო და ახლანდელი გახარია — კაცი განახევრებულია. ლაღი ადამიანი მივიდა ომბუდსმენად, შავი თმა ჰქონდა და ახლა სულ ჭაღარაა. უდიდესი წნეხი გაიარა. რაც შეეხება ამ კორუფციასა და ნეპოტიზმს, ერთი კითხვა მინდა დავუსვა მას და მისი გუნდის წევრებს. გადავავლოთ თვალი მისი გუნდის წევრებს — ამ ადამიანებს რა პოლიტიკური წარსული ჰქონდათ? და რომ არა ნეპოტიზმი, ისინი როგორ მოხვდებოდნენ პარლამენტში და ასევე გახარიას გუნდში?! ბექა ლილუაშვილი 2014 წლამდე თიბისი ბანკში მუშაობდა, ან დაუშვილი რომ ავიღოთ, საიდან გაჩნდა ეს 25 წლის ბიჭი უეცრად ომბუდსმენად და მერე პარლამენტარად? რომ არა ნეპოტიზმი და შიდანაცნობობა, ამ ადამიანებს 100 წელი იქ არ ვიხილავდით.

***— ასევე ზაზა თავაძე, რომელიც ადეიშვილის კადრი იყოო, ასე ამბობენ.***

— კადრი კი არა, სადაც ადეიშვილი იყო, იქ იყო თავაძეც. ჯერ იყო გენპროკურატურაში მისი გენპროკურორობის დროს კადრების უფროსი, მერე იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე ადეიშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს და ბოლოს ადეიშვილი რომ მიდიოდა და მიხვდა, დარჩენის შანსი აღარ იყო, თავაძე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა.

ქალბატონი ნათია მეზვრიშვილი საიდან მოდის, თუ არა ადეიშვილის კადრობიდან? იქ ვინც არის, 90% ნაცების დროინდელი კადრია.



***— ასევე დაისვა კითხვები ფინანსებთან მიმართებით და ეს ყველაფერი კეზერაშვილის გვარს დაუკავშირდა.***

— სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ გახარიას არ ეხამუშება ის, რომ ადეიშვილის კადრებით შეავსოს თავისი პარტია, არც იმის მიმართ მაქვს ეჭვი, რომ მას კავშირი ჰქონდეს ნაცების რომელიმე ბიზნესმენთან, იმავე კეზერაშვილთან.

ძალიან საინტერესო რაღაც წამოსცდა გახარიას.

***— რას გულისხმობთ?***

— ის კონტროლირებადი მედია, ჩვენ რომ ვაკონტროლებთ, იქ გაჟღერდება ყველაფერიო. თქვენ წარმოგიდგენიათ? კაცი ოპოზიციაშია და ასეთ ფრაზას ამბობს! მას აშკარად წამოსცდა ეს ფრაზა და წაბორძიკდა კიდეც. კაცი, რომელსაც სურვილი აქვს, მედია აკონტროლოს, თავისუფლებასა და დემოკრატიაზე რანაირად გველაპარაკება?!

***— ლადო, ერთი თვის წინ თქვით ჩემთან ინტერვიუში, რომ ძმებ არველაძეებს ვიხილავდით მის გუნდში და ვიხილეთ კიდეც.***

— კი, ასე იყო. დღეს იმასაც გეტყვით, რომ მერობის კანდიდატად არველაძეს თუ არა, მისი გარემოცვის უახლოეს წევრს ვიხილავთ. ის იქნება თუ არველაძე, დიდი სხვაობა არ არის. ძმებ არველაძეებს რაღაცნაირად გაეხსნათ ასპარეზი, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც გახარია გამოჩნდა პრემიერად. საპარლამენტო არჩევნების წინ გააქტიურდა არველაძეების სოციალური ქსელები, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს ადამიანები აპირებდნენ სხვა აქტივობას. ჯერ კიდევ იმ დროიდან ვამბობდი, ესენი აპირებენ პოლიტიკაში გამოჩენას-მეთქი. მერე ისე მოხდა, რომ კალაძემ არ დაუშვა ის ფაქტი, რომ ძმები არველაძეები მაშინ პარლამენტში შესულიყვნენ.

***— ანუ გამოდის, რომ ამის შემდეგ კალაძე და გახარია ერთ მინდორზე ველარ მოძოვენ?***

— ეგ ფაქტი უკვე გამოვრიცხოთ, მით უფრო, რომ გახარიასთან არველაძეები უკვე ვიხილეთ. ფეხბურთელების ეს ორი ჯგუფი ერთმანეთთან ძალიან დაპირისპირებული იყო ფედერაციიდან და წარსულიდან გამომდინარე. შესაბამისად, სადაც ერთი იქნება, იქ მეორე ვერ იქნება და სადაც მეორეა, იქ პირველი ვერ იქნება. ის ფობიები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ სუფევდა, რომ შეიძლება ვიხილოთ გახარია და კალაძე ერთად, უკვე წარსულს ჩაჰბარდა.

***— გახარიამ თქვა, რომ მისი პარტია მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ისიც თქვა, მერობის კანდიდატი ჩემზე ბევრად უკეთესი იქნებაო.***

— ესეც ლოგიკურია. კაცი პრემიერი იყო და მერობა არც უნდა მოუნდეს.

***— საინტერესოა, ვის დააყენებს და რამდენად იქნება გახარიას კადრი კალაძის საპირწონე?***

— ის მთავარი შიში, რომ გახარია არის ძლიერი გუნდის პატრონი, „ოცნებისთვის“ მოხსნილია. გახარია, უბრალოდ, არის კარგი პიარის ნამუშევარი და მეტი არაფერი. მითები შეუქმნეს. ეს ბუშტი ნელ-ნელა იფუშება და ის პირველივე არჩევნებზე გასკდება. ვიმეორებ, ვერ იქნება ვერავინ ივანიშვილზე მაღლა მდგომი, რომელიც მოდის „ქართული ოცნებიდან“! არ არსებობს ეგეთი რაღაცა. იგივე კალაძეც ვერ მოუგებს ვერასდროს ივანიშვილს.

გახარიას გუნდზე რატომღაც მეტი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ ეს არ გამართლდა. გახარიას პარტია აიღებს დაახლოებით 5-დან 10%-მდე. შესაძლოა, ნაცებსაც კი ვერ მოუგონ, „ოცნებას“ კი არა. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევენ სამეგრელოსა და შიდა ქართლში. სხვაგან ამ პარტიას გასაქანი არ ექნება. წარმატებაშიც ვგულისხმობ იმას, რომ ნაცებს აჯობებენ, თორემ, „ოცნებას“ რომ აჯობონ, ამაში ეჭვი მეპარება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია მხოლოდ ბოდიშების დიდოსტატია“

## დავით ჭიჭინაძე: „გახარიას „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციას არ გამოვრიცხავ“



ნათია ხურცილავა

**„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი გახარიას პოლიტიკურ განაცხადს აფასებს.**

***– ბატონო დავით, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ გიორგი გახარიას პარტიის პრეზენტაციიდან? როგორ ფიქრობთ, რისთვის ბრუნდება?***

– ყველა გზავნილი, რომლებიც გახარიას ჰქონდა, არსებულ რეალობას აცდენილი იყო, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. მან ვერ ასახა ამ ქვეყნის მოქალაქეების პრობლემა თავის გამოსვლაშიც კი.

***– არავის წინააღმდეგ არ მოვდივარ – თქვენთვის რა გზავნილია?***

– გამოდის, არაფრის გასაკეთებლად, არაფრის გასასწორებლად არ მოდის, თან, იმასაც ამბობს, რომ კორუფციაა, რომ გუნდი ასცდა ქვეყნის შენების გზას და რა გამოდის, სათანამშრომლოდ მოდის?!

***– ვისთან, „ქართულ ოცნებასთან“?***

– „ქართულ ოცნებასთან“. შეეცადა, დაპირისპირებისა და რადიკალიზმის ტონი არ ჰქონოდა. ამ ქვეყანას დღეს რადიკალური ცვლილებები სჭირდება და არა თანამშრომლობა კორუფციასთან. სიმართლე გითხრათ, ხალხი უფრო ომახიან გამოსვლას ელოდა, თვითკრიტიკასაც, წარსულის კრიტიკასაც და მომავლის იმედების გაჩენასაც. ეს არაფერი არ ყოფილა.

***– რადიკალური ცვლილებები არ არის მიზანი? რაც კარგია, იმაზე უნდა დავაშენოთო.***

– მითხარით, კარგი რა არის. ინსტიტუტებზე როდესაც ლაპარაკობს, რომელი ინსტიტუტი მუშაობს ქვეყანაში, რომლის მიმართაც აქვს ხალხს ნდობა? მოსამართლეებისადმი ნდობაზე რომ ისაუბრა, ამ მოსამართლეებს უწოდა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კლანი, სხვას კი არა.

***– რას იტყვით გუნდზე?***

– მისი ყოფილი თანამშრომლები არიან, ყოფილი გუბერნატორები, ადმინისტრაციის უფროსები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები. არა მგონია, რომ ეს ის ხალხია, რომლებსაც ამ ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლიათ. არა მგონია, ამ ადამიანებს ის ნდობა ჰქონდეთ, რომ მათ შეძლონ ამ ქვეყნის შემობრუნება.

***– ლევან დოლიძე, ყოფილი დიპლომატი, გიორგი გოგუაძე – ეს ადამიანებიც არიან მის გუნდში.***

– და ამ ადამიანებს რა აქვთ გაკეთებული, რომ ახლა გააკეთონ?! რომელი დიპლომატიური გარღვევა უკავშირდება ლევან დოლიძეს?! ეს ის ხალხია, რომლებიც „ქართული ოცნების“ ორბიტას ვერ შორდებიან, ვერ უპირისპირდებიან.

***– ვერც გახარია დაუპირისპირდება?***

– თვითონ გვითხრა, ვერაო, არავისთან არ ვაპირებ დაპირისპირებასო. მომავალ კოალიციაზე თუ გველაპარაკება, „ქართულ ოცნებას“ არ გამოვრიცხავ.

***– ეს დაინახეთ?***

– ეს იყო გზავნილი.

***– მისთვის მიუღებელ ძალებთან შექმნის კოალიციას?***

– მიუღებელ ძალებთან ერთად რომ ხედავდეს კოალიციას, მაშინ წარსულის სხვანაირი გადაფასება უნდა მოეხდინა. ვერ შორდება იმ მოცემულობას, რომელშიც იყო. გახარია ვერ უპირისპირდება წარსულს. ეს რომ გააკეთოს, მაშინ კითხვებზე პასუხები უნდა გასცეს.

***– თქვა, ყველა კითხვისთვის მზად ვარო. როგორც ჩანს, 20 ივნისი იგულისხმა.***

– არ ვარ დარწმუნებული, რომ მზად არის, 20 ივნისზე ისაუბროს. ვერ შევატყვე ეს მზადყოფნა. სიმართლე გითხრათ, გაცილებით მეტს მოველოდი. ამდენი ხანი რომ ემზადებოდა, ალბათ, ცოტა მეტი უნდა ეთქვა, რომ ეს მოლოდინები არ გაწბილებულიყო. არც ერთი კომპონენტი არ ყოფილა, რომელიც სერიოზულ ყურადღებას დაიმსახურებდა. ამ ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა ამწუთში ეკონომიკა, ადამიანების გაჭირვებული მდგომარეობაა. საერთოდ ვერ გავიგე, ეკონომიკაში რას აპირებს. ისე, საინტერესოა, რატომ არიდებს ყველა თავს მის ეკონომიკის მინისტრობის პერიოდს. რა წარმატებები ჰქონდა იმ პერიოდში, ამაზე რატომ არავინ საუბრობს?! ან ახლა როგორ აპირებს კატასტროფაში მყოფი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას?! ერთადერთი, რაც საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, ბოდიშების დიდოსტატი იყო.

# დავით ბერძენიშვილი: „გახარია პოლიტიკური კეთროვანია“



– ჩემთვის გახარია პოლიტიკური კეთროვანია, 20 ივნისის სახე და ამ დანაშაულზე მთავარი პასუხისმგებელია.

ამის შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რითაც გიორგი გახარიას მიერ პარტიის დაფუძნებას ეხმიანება.

როგორც ბერძენიშვილი აღნიშნავს, „გახარიას წარმოჩენა უკვე ძლიერ მესამე ძალად ღიმილის მომგვრელიცაა და პოლიტიკურადაც მცდარი მიდგომაა“.

– მოცემულობად გახარიას გასაღება გამოკვეთილ და მზარდ მესამე ძალად, რომლის გარეშე ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდება, უპასუხისმგებლო პოლიტიკური დღის წესრიგია.

გახარიას ვინც შესაძლო პარტნიორად მოიაზრებს ოპოზიციაში, პოლიტიკის ანაბანა ვერ უსწავლია.

ჩემთვის გახარია პოლიტიკური კეთროვანია, 20 ივნისის სახე და ამ დანაშაულზე მთავარი პასუხისმგებელია.

ეტყობა, ეს კითხვაც უნდა დაისვას – ოპოზიციიდან თუ ხელისუფლებიდან ვინ აპირებს გახარიასთან ერთად კოალიციის ჩამოყალიბებას თვითმმართველობის არჩევნების შედეგად? – აღნიშნავს ბერძენიშვილი.

# „საშემოსავლო გადასახადების გადახდა 6 თვით უნდა გადავადდეს“

## გიორგი ვაშაძემ პრემიერ ღარიბაშვილს მიმართა

– მოვითხოვთ და ვაყენებთ საკითხს, რომ მინიმუმ კიდევ 6 თვით გადავადდეს საშემოსავლო გადასახადების გადახდა და გავრცელდეს ის შეღავათები, როგორიც დღეს არის ზოგადად ქვეყანაში.

კოვიდკრიზისამდე უმძიმესი პირობები იყო ეკონომიკაში. კოვიდკრიზისმა საერთოდ გაალარიბა და გაანადგურა ქართული ბიზნესი, დაგვაკარგვინა ბევრი სამუშაო ადგილი და, რაც არის დარჩენილი, ახლა ამის შენარჩუნება არის უპირველეი ამოცანა, – განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.

შესაბამისი წინადადებით მან პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა.

# ნაცმოძრაობა პარლამენტში შედის

## 7-თვიანი ბოიკოტი დასრულდა



გუშინ, 30 მაისს, 7-თვიანი ბოიკოტი დასრულდა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭომ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო.

გუშინდელ პოლიტსაბჭოს წინ უძღოდა მოლაპარაკებები და რეგიონებში, პარტიის წარმომადგენლებთან რამდენიმეკვირიანი შეხვედრები.

– შესაძლებელია, ადამიანი გვისმენდეს და ამბობდეს: საწადელს მიაღწია ივანიშვილმა, საერთო ოპოზიციური ერთობა წარსულს ჩაჰბარდა, არა, არა და არა! არავითარ შემთხვევაში არა! ეს იმდენად ძვირფასი საჩუქარია ოლიგარქისთვის, მერწმუნეთ ოპოზიცია ამ საჩუქარს არ გაიმეტებს, – განაცხადა ნიკა მელიამ პოლიტსაბჭოს დასრულების შემდეგ.

მისივე თქმით, საზოგადოებასაც და საერთაშორისო თანამეგობრობასაც ვაჩვენეთ, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც არჩევნებისას ხელისუფლებაში მყოფი გამოიყენებს ყველაფერს: თაღლითობას, ძალადობას, მოსყიდვას, ტყუილსა და ეს ყველაფერი ჩაივლის ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

– რამდენად სწორი იყოს გადაწყვეტილება თვეების წინ პარლამენტის ბოიკოტირებასთან დაკავშირებით? მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო აბსოლუტურად სწორი და გამართლებული ნაბიჯი, რომელიც ერთიანმა ოპოზიციამ გადადგა. რა მამხნევებდა ამ თვეების განმავლობაში ყველაზე მეტად? პირველ რიგში, საზოგადოება ურყევია, მტკიცეა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ბრძოლა შეგვიძლია! ბრძოლა იმისათვის, რომ მიტაცებული სახელმწიფო გავათავისუფლოთ. მე დარწმუნებული ვარ, სულ რამდენიმე თვე გვაშორებს, რომ ეს ყველაფერი მოხდება, – განაცხადა მელიამ.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილს არც ერთი კომფორტულ ზონას არ დაუტოვებენ.

– ჩვენ მივიღეთ მოცემულ მომენტში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, რომელიც არც ერთ კომფორტის ზონას არ დაუტოვებს ბიძინა ივანიშვილს, ბრძოლას გავუმართავთ ყველას. იქნება ეს საპარლამენტო დარბაზი, თუ საკომიტეტო სხდომათა დარბაზები, აჭარის უმაღლესი საბჭოს დარბაზები, მოედნები, ქუჩები, სოფლები, რაიონში, მთაში, ბარში ბიძინა ივანიშვილს უდიდესი წინააღმდეგობა ექნება. წელს ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმი უნდა დამარცხდეს! ეს გამარჯვება ხელის გაწვდენის მანძილზეა, ჩვენზეა დამოკიდებული, – დასძინა ნიკა მელიამ.

# „გახარიასთან თანამშრომლობის პრობლემას ვერ ვხედავ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რომ წინ უნდა იყო წასული და არა ამაყობდე იმით, რომ ოდნავ უკეთესია, თუმცა, ვიმეორებ, არ მიმაჩნია, რომ უკეთესობაა დღევანდელ სასამართლოში. სახელისუფლებო კლანის სრული კონტროლია და ყველაფერი სასამართლოში ისე კეთდება, როგორც ივანიშვილს უნდა.

***– გადადგომის მოტივაციაზეც ისაუბრა და დამაჯერებელი იყო ეს თქვენთვის?***

– ამაზე მე ჩემი პოზიცია ნათქვამი მაქვს. მნიშვნელოვანი და სწორი იქნებოდა, რომ მას, პირველ რიგში, გადაეყენებინა ის თანამდებობის პირი, რომელიც შტურმით აპირებდა ოპოზიციური პარტიის აღებას, სადაც სრულიად ოპოზიციური ლიდერები იყვნენ შეკრებილი.

***– ოპოზიციაში რა ვითარებაა, შეჯერდით კოორდინაციაზე და დაასრულეთ დისკუსია?***

– არა, ჯერჯერობით კონსულტაციები მიმდინარეობს კოორდინაციაზე. იცით ჩემი პოზიცია, რომ რამდენადაც რთული არ უნდა იყოს, კოორდინაციის გზები უნდა გამოიძებნოს. ოპოზიცია თავის თავში თუ ვერ იპოვის ძალას, რომ კოორდინირებულ რეჟიმში იმოქმედოს, ამ შემთხვევაში დამარცხება გარდაუვალი იქნება. თუ ოპოზიცია იმოქმედებს ერთობლივად და კოორდინირებულად, დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაში 43%-ს ვერ აიღებს.

***– საერთო კანდიდატები უნდა იყოს?***

– უნდა იყოს საერთო კანდიდატები, უნდა იყოს საერთო კოორდინირება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი დაქსაქსულობა ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს.

***– გვესმის, რომ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები არ არის ის, რასაც ითხოვდით. ამ კოდექსით ჩატარებული არჩევნები გაძლევთ თუ არა იმის საფუძველს, რომ ოპოზიცია გაიმარჯვებთ?***

– მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი და იცით ჩემი პოზიცია ხელმოწერასთან დაკავშირებითაც და საარჩევნო გარემოსთან მიმართებითაც, მაგრამ სრულიად ოპოზიციის ერთობლივი მოქმედებებით უფრო მეტად შეძლებს, გადალახოს ის უსამართლობა, რომელიც არის საარჩევნო პროცესში, ვიდრე ეს მოხდება დაქსაქსული ოპოზიციის დროს. ამ ვითარებაში ბრძოლა ძნელი იქნება, ყველა ბერკეტი ხელისუფლებას რჩება ხელში და რეალური ცვლილებებისთვის ჩვენ გვჭირდებოდა და გვჭირდება ვადამდელი არჩევნები. უნდა ვიბრძოლოთ იმ რეალობით, რომელიც არის.

***– ოპოზიციისგან ისმის რიტორიკა, ეს ხელისუფლება არაფრის შემცვლელი არ არის და, როდესაც ის შეიცვლება, მერე შევცვლით ყველაფერსო. ეს წლებია გვესმის სხვადასხვა ძალის მხრიდან, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივიწყებენ ხოლმე. რა გარანტია არსებობს, რომ თუნდაც კოალიციური ხელისუფლებით შეცვლით ამ მახინჯ სისტემას?***

– საქართველოში ნამდვილად იყო ხოლმე ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიკული შეცდომები მოჰყვა ვარდების რევოლუციას, არაფერი არ შევცვალეთ, ხელისუფლებაში როდესაც მოვედით?! შუქი და გაზი რომ არ იყო, ეს არ შევცვალეთ?!

***– ამას არ ვგულისხმობ. მხედველობაში მაქვს სასამართლო სისტემა, საარჩევნო სისტემა, სამართალდამცავი სისტემა, საგამოძიებო სისტემა და ა.შ.***

– გეთანხმებით. მაგრამ მე ერთ რამეს ვფიქრობ – მგონი, ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა დაინახა, რომ თავის თავზე სასამართლოს სისტემის მორგება მერე ბუმერანგივით შემოუტრიალდება აბსოლუტურად ყველა პოლიტიკურ ლიდერს. ახლა კოალიციური მთავრობაა იმის გარანტია, რომ ისევ რომელიმე ერთ ლიდერს არ აუვარდება თავში, ისევ ერთ ლიდერს არ ექნება ძალაუფლება ხელში და ისევ თავის თავზე არ მოირგებს სასამართლოს. როგორ წარმოგიდგენიათ, მთავრობამ, რომელშიც პრემიერი სხვა პარტიიდან არის, იუსტიციის მინისტრი – სხვა პარტიიდან, თავდაცვის მინისტრი სხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და ფინანსთა მინისტრი – სხვას, როგორ უნდა მართოს სასამართლო?! ეს იქნება კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი. იმიტომ არის საპარლამენტო რესპუბლიკებში უმეტესად კოალიციური მმართველობა. ეს არის გარანტი იმისა, რომ ვერც ერთმა კლანმა ვერ ჩაიგდოს სასამართლო ხელში.

ხელისუფლებები როდესაც მოდიან დემოკრატიულ ქვეყნებში, იმით კი არ არიან დაკავებული, რომ ოპოზიცია გაანადგურონ, არამედ საქმეს აკეთებენ, რათა ოპოზიციას აჯობონ. ჩვენთან ყველა ხელისუფლება ოპოზიციის განადგურებით იყო დაკავებული. ეს ჩაკეტილი წრე არ დამთავრდა და არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია იმის განცდა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, თორემ, ხვალ სხვა რომ მოვიდეს ხელისუფლებაში და მისი პოლიტიკური დევნა გადაწყვიტოს, ამას დამოუკიდებელი სასამართლო არ დაეთანხმება, თუკი ის უდანაშაულო იქნება, ისე არაფერი გვეშველება. სანამ ეს მენტალიტეტი არ ჩამოყალიბდება, ასე გაუბედურებული ვიქნებით.

***– გაქვთ იმედი, რომ ჩამოყალიბდება?***

– დიახ, მაქვს იმედი. ამას იმსახურებს ჩვენი ხალხი და ჩვენი სახელმწიფო. ისე წინ ვერ წავალთ. ახალი თაობა მოდის, რომელსაც სხვა მოთხოვნები აქვს. თუ ამ ხელისუფლებას არ შერჩა ყველაფერი, რასაც აკეთებს, ეს მენტალიტეტი თანდათან ჩამოყალიბდება.

***– ჰესებთან დაკავშირებით როგორი პოზიცია აქვს ნინო ბურჯანაძეს – უნდა აშენდეს თუ არა გიგანტური ჰესები?***

– მე არ ვარ გიგანტური ჰესების მომხრე, მაგრამ, ზოგადად, ჰესების მომხრე, რა თქმა უნდა, ვარ. დღეს თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა ელექტროენერგიის გარეშე შეუძლებელია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი იყოს, მაგრამ არ შეიძლება, ენერგოდამოუკიდებლობას ამოფარებული ვიღაცები თავიანთი ინტერესებისთვის იბრძოდნენ და ისე ამტკიცებდნენ პროექტებს, რომ ისინი არ იყოს ნორმალურად განხილული და შემუშავებული ისე, როგორც სახელმწიფო ინტერესებში შედის. ეს არ უნდა იწვევდეს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას. როდესაც ხელისუფლებას თავისი ბნელი ინტერესები აქვს და საზოგადოების ინტერესები არ ანაღვლებს, მუდმივად ცდილობს მანიპულირებას, იქ კითხვის ნიშნები ჩნდება.

ნამახვანთან დაკავშირებით ჩემი გარკვეული სენტიმენტები მაქვს, რადგან იმ კუთხიდან ვარ და ძალიან მიყვარს იქაურობა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანურად მენანება იმ ულამაზესი კუთხის საგუბრის ქვეშ მოქცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, უამრავი კითხვაა. რთული რელიეფია და შესწავლილი უნდა იყოს გეოლოგიური მდგომარეობა, საზოგადოებრივი აზრი უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

***– მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს და მისი შესწავლის შემდეგ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება?***

– რა თქმა უნდა. ჯერ პროცესი გამჭვირვალე უნდა გახდეს, ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და შემდეგ იყოს გადაწყვეტილება მიღებული. საქართველო პატარა ქვეყანაა და გიგანტური ჰესები რთული გამოწვევაა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება, ქვეყანამ ფარ-ხმალი დაყაროს და უარი თქვას ენერგოდამოუკიდებლობაზე. ოქროს შუალედის მოძებნა ნამდვილად შეიძლება, თუ ხელისუფლების ამოცანა ქვეყნის ინტერესების დაცვა იქნება და არა კონკრეტული ბიზნესმენების ჯიბის გასქელება, რომ მერე ყველა პროექტი საკუთარ ინტერესებს მოარგონ.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „გაზის გაძვირებაში კალაძის, ივანიშვილის, მამაცაშვილისა და ჩხარტიშვილის ინტერესებია“

## გიორგი გუგავა: „ბიტკოინების წარმოებით ჩინეთისა აშშ-ის შემდეგ მესამე ადგილზე ვართ“

იაგო ნაცვლიშვილი

**მაშინ, როდესაც პანდემიის ფონზე თვეების განმავლობაში ეკონომიკა გაჩერებული იყო და ათასობით მოქალაქემ სამსახური დაკარგა, ათასობით მოქალაქეს კი შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა, სემეკის გადაწყვეტილებით, თბილისში „თბილისი ენერჯის“ მომხმარებლებს გაზი 8 თეთრით უძვირდებათ. რეგულაცია 1 ივნისიდანვე ამოქმედდება. ეს მაშინ, როდესაც მოქალაქეები გადარჩენისთვის იბრძვიან, მთავრობამ კი, საკუთარი ქამრების შემოჭერის ნაცვლად, ქამრები ისევ მოსახლეობას მოუჭირა, ზოგს წელზე, ზოგსაც — ყელზე. დიახ, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც პური ენატრებათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტარიფების გაზრდა ყელში წაჭერის ტოლფასია.**
**რატომ გააძვირეს გაზი? ვისი ინტერესები იკვეთება და გვაქვს თუ არა საქმე კორუფციის ნიშნებთან? რას ფიქრობს ჰესებზე და რატომ თვლის, რომ გიგანტური ჰესები არ უნდა აშენდეს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს.**

**გიორგი** გუგავა:

— გაზის გაძვირების ერთადერთი საფუძველი კორუფციაა. მათ უნდათ, რაც შეიძლება მეტი თანხა ამოქაჩონ ამ გაუბედურებული და გაღარიბებული მოსახლეობისაგან. მოგეხსენებათ, რომ ამ კომპანიის უკან იკვეთება კალაძის ინტერესები. მათ ჩაიგდეს ხელში. არანაირი ეკონომიკური და ფინანსური დასაბუთება არ არსებობდა იმისა, რომ გაზი უნდა გაძვირებულიყო. თქვენ ნახეთ რაიმე დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა, რომ კომპანიამ იზარალა?

***— მე კონტრშეკითხვას დაგისვამთ: ოდესმე გინახავთ სემეკის მიერ მიღებული დოკუმენტი გადაწყვეტილებების დროს?***

— დიახ, ასეა. ყველა დოკუმენტს ადევს გრიფით საიდუმლო და ვერაფერს ნახავთ, თუ სასამართლოში არ წახვედით და სასამართლოს ძალით არ გამოითხოვეთ, ისიც — მხოლოდ ნაწილი. ეს იყო კორუფციული გადაწყვეტილება და ამას არ ვამბობ დოკუმენტური დასაბუთების გარეშე. ამ კომპანიამ აუდიტორული დასკვნა გამოაქვეყნა 2020 წელს, რომლის შესაბამისადაც, ეს კომპანია გავიდა 81-მილიონიან წმინდა მოგებაზე. ეს ნიშნავს, რომ მოგება იყო ამდენი კაპიტალური ხარჯის, შრომის ანაზღაურების გარეშე. მეტსაც გეტყვით, ბიუჯეტმა ამ კომპანიას 2018 წელს ჩამოაწერა 106 მილიონის დავალიანება.

***— ამაზე იურისტმა ლევან ალაფიშვილმაც თქვა, რომ კანონდარღვევით მოხდა ეს ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.***

— რა თქმა უნდა. აბა მე და თქვენ გვქონდეს დავალიანება... აბა ერთი დღე გადააცილეთ, თუნდაც გაზის გადასახადს, იმწუთშივე ჩაგიჭრიან. მეტსაც გეტყვით, შესასყიდი ტარიფი შეამცირეს. აქედან გამომდინარე, არანაირი ობიექტური საფუძველი არ არსებობდა იმისა, რომ ტარიფი გაზრდილიყო. უფრო ღრმად ჩავიდეთ და წარმოიდგინეთ, როგორ ძარცვავენ მოსახლეობას. საქართველოზე გადის საერთაშორისო სატრანზიტო მაგისტრალები, ნავთობსადენები — თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი და შაჰდენიზის ნავთობსადენი. იცით, რამდენს იღებს ჩვენი ქვეყანა უფასოდ? — 5%-ს, რაც შეადგენს 300 მილიონ კუბურ მეტრს წლის განმავლობაში. უფრო მეტიც, ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრს ვიღებთ ე.წ. სოციალურ ფასში. პრაქტიკულად, ეს ნახევარ ფასადაა. სად მიდის ეს და ვინ მოიხმარს? იმას, რაც ქვეყანასა და ხალხს უნდა ხმარდებოდეს, კომერციულ ფასად ყიდიან ჩვენზე, გაორმაგებულ და გასამმაგებულ ფასად. კომერციულ მომხმარებელს უკვე გაუძვირეს და ახლა ჩვენც ზემოდან მიგვაყოლეს. ეს საკუთარი მოსახლეობის პირდაპირი ძარცვაა.

თუ საერთო ფონსაც შევაფასებთ, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობას დავინახავთ. გაზრდილია თუ არა ფასი მედიკამენტებსა და საკვებ პროდუქტებზე? — გაზრდილია. უმუშევრობა გაიზარდა, საწვავზე გაზარდეს ფასი, ელექტროენერგიაზე გაზარდეს, წყალზეც და ახლა ზემოდან გაზიც დაამატეს. ეს ყველაფერი ფეოდალური ოლიგარქიული მმართველობის ბრალია, რომელიც თავზე გვაზის, ყველაფერი მითვისებული აქვს და ჩვენ ვართ უუფლებო მონები.

მარტო ისინი რომ იყვნენ, ამ პრობლემას მოვერეოდით, მაგრამ ეგ იმ ამომრჩევლის დამსახურებაცაა, ვინც გარბის და ხმას აძლევს. ჩვენ თუ არ გავიაზრეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი, ისე არაფერი გამოვა. თუ ხმას ვაძლევთ კარტოფილის, სამსახურის ან სხვა რამის გამო და არა პრინციპების, მაშინ ასეთ შედეგებს მივიღებთ.

***— გიგი უგულავამ თქვა, ელექტროენერგიაზეც მოსალოდნელია ფასების ზრდა და ყველაფერზეცო. მან ეს იმასაც დაუკავშირა, რომ გაჩერებულია ჰესების შენება. თქვენ ვერ ხედავთ ამ კავშირებს?***

— არ არის სწორი შეფასება და სწორედ ამ ნეოლიბერალურმა დამოკიდებულებამ პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც დაანგრია და დააქცია ეს ქვეყანა ბოლო 20 წელია. ეს შეეხებოდა წინა ხელისუფლებასაც და დღევანდელსაც. ყველაფერი რომ უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდა, ამის ბრალია.



**„უგულავას შეფასება არასწორია. ნეოლიბერალურმა დამოკიდებულებამ დაანგრია ეს ქვეყანა“**

***— სინდისი არ იყიდება? მგონი, მასაც ყიდიან ზოგიერთები.***

— ყიდიან, როგორ არა. ვნახეთ, რას ეუბნებოდნენ ერთ თვის წინ საკუთარ ამომრჩეველს და მერე როგორ ასწრებდნენ ერთმანეთს პარლამენტში შევარდნას.

თუ კარგად ჩავუღრმავდებით, დენის ტარიფი კი არ უნდა გაიზარდოს, უნდა განახევრდეს. რანაირად უნდა განახევრდეს და ჩვეულებრივად. აქაც ენერგომაფიის ინტერესებია. პირდაპირ არის კალაძის, ივანიშვილის, მამაცაშვილისა და ჩხარტიშვილის ინტერესები. იმიტომ ძვირდება საქართველოში ენერგოტარიფები. ბიტკოინების წარმოებით მესამე ადგილზე ვართ ჩინეთისა აშშ-ის შემდეგ. ამან გამოიწვია ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდა. ეკონომიკა გაჩერებულია, არაფერი შენდება, ლოქდაუნის გამო ყველაფერი გაჩერებულია და რამ გაზარდა ელექტროენერგიის მოხმარება?!

***— უგულავა იმასაც ამბობს, რომ გაუმართლა ხელისუფლებას, ოპოზიციაში ხელისუფლებაში ნამყოფი ხალხი ვართ და ვიცით, რა სირთულეებიც იყო, როდესაც თავად გამოდიოდნენ ჰესების წინააღმდეგ, რეალურად კი ისინი სჭირდება ქვეყანასო. ამაზე რას იტყოდით?***

— ნახეთ თქვენ მაგათი და ამათი აშენებული ჰესი. შუახევის ჰესი, რომელიც ჩამოინგრა ერთ კვირაში, დარიალჰესი, სადაც 20 კაცი დაიღუპა. იცით თუ არა, რომ ენგურჰესიდან ელექტროენერგიას პირდაპირ ოკუპირებულ აფხაზეთს აძლევენ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, იმიტომ, რომ ბიტკოინებს აწარმოებენ. არა მარტო ენგურჰესიდან გამომუშავებული ელექტროენერგია, გაჩერებული რომ იყო ეს ჰესი, საქართველომ შემოიტანა იმპორტირებული ელექტროენერგია, ანუ ვიყიდეთ და მივეცით აფხაზებს. რა კორუფციული ინტერესები იკვეთება აქ, ეს ცალკე გამოძიების საგანია. 1.3 თეთრი ჯდება ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია. რატომ არის 25 და 30 თეთრი?! ან დანარჩენ ჰესებზე?! ჰესი იმიტომ უნდა აშენდეს, რომ იაფი იყოს. თუნდაც ნამახვანჰესით საფასური კვლავ გაიზრდება, ანუ მივიღებთ დანგრეულ ხეობასა და პლუს გაზრდილ ტარიფს, იმიტომ, რომ ხელისუფლებაა წილში. ვერ გაძღნენ ელიტები. ამიტომ ოლიგარქები და ბიზნესმენები პოლიტიკაში არ უნდა იყვნენ. მათ თავიანთი საქმე უნდა აკეთონ. ქვეყანას თუ რაიმე რესურსი გააჩნია, ის უნდა ნაწილდებოდეს ჩვენს მოქალაქეებზე.

ამიტომ უნდა აირჩიონ „ლეიბორისტული პარტია“, რომელიც 30 წელია იბრძვის. წყლის ტარიფი შევამცირეთ ბრძოლით. მაშინ თავისუფალი იყო სასამართლო სივრცე. მჯდომარე აქცია რომ გვქონდა, ხომ გახსოვთ? პოლიცია შემოგვივარდა მერე და გამოგვყარა. ყველა გზა ამოვწურეთ. სასამართლოებში გვაქვს საქმეები გასაჩივრებული, მაგრამ ორი წელია, არ იხილავენ მათ.

***— რატომ?***

— ვიკითხოთ, რატომ. სამაგიეროდ, პოლიტიკურ საქმეებს ლამის ყოველდღე იხილავენ. იმიტომ არ იხილავენ, რომ უსამართლოა და ვერ გამოაქვთ გადაწყვეტილება, ურჩევნიათ, იყოს ასე გაყინული.

***— თქვენ ზოგადად ხართ ჰესების წინააღმდეგი თუ ასეთი კაბალური ხელშეკრულებებით გაფორმებული ჰესების აშენებას ეწინააღმდეგებით?***

— გიგანტური ჰესები იწვევს ადგილობრივი ხეობების დანგრევასა და ეკოლოგიური გარემოს შეცვლას. მათ ზიანი მოაქვთ. ამის წინააღმდეგი ვართ, ხოლო მცირე და საშუალო ჰესები უნდა აშენდეს მოსახლეობის თანხმობით. ამავე დროს, ალტერნატიულ საშუალებებზე უნდა ვიმუშაოთ.

***— ძვირი ჯდებაო და როგორ?***

— ჰესები უფრო ძვირი ჯდება. ვინმემ დაიანგარიშა? მთელი მსოფლიო ამაზეა გადასული. რაც მთავარია, ეს უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრება. სტრატეგიულია ეს და, როდესაც სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება სტრატეგიული ობიექტები, მაშინ ვერც გააძვირებენ და ვერც დაიმალება ეს ინფორმაცია. რისთვის გვინდა ეს ჰესები, თუ დაგვაქცევს და დაგვამონებს?!

# რაზე ისაუბრებენ ამერიკელი სენატორები საქართველოში?

## ჯინ შაჰინი: „აშშ მოწადინებულია, ხელი შეუწყოს საქართველოსა და უკრაინას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაში“

მარიამ მჭედლიშვილი

**დასავლეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო მიაჩნია დასავლეთის პარტნიორად და დასავლური სამყაროს ნაწილად.**
**2 ივნისიდან იგეგმება ამერიკელი სენატორების ვიზიტი საქართველოში. კონგრესის დელეგაციას ჯინ შაჰინი უხელმძღვანელებს. დელეგაციის შემადგენლობაში იქნება რობ პორტმანი. აღნიშნული სენატორები, კრის მერფისთან ერთად, საქართველომდე ლიეტუვასა და უკრაინას მოივლიან. ლიეტუვაში ისინი შეხვდებიან ბელარუს ოპოზიციონერ სვეტლანა ტიხანოვსკაიას.**

დელეგაციის წევრები ადასტურებენ ორპარტიულ მხარდაჭერას საქართველოსა და დემოკრატიული რეფორმების მიმართ. დიდი ალბათობით, დელეგაციის წევრები საქართველოში ისაუბრებენ მოკავშირეობასა და რეფორმებზე, რომელთა განხორციელება გათვალისწინებულია შარლ მიშელის დოკუმენტში, ასევე — რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე.

საქართველო და უკრაინა ითვლებიან დასავლეთის მოკავშირეებად, ბელარუსი კი მსოფლიო ყურადღების ცენტრში საავიაციო სკანდალური ინციდენტის შემდეგ მოექცა. მანამდე რამდენიმე თვით ადრე გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები. 2020 წლის არჩევნების შედეგი და ლუკაშენკოს ლეგიტიმურობა მსოფლიოს დიდმა ნაწილმა არ ცნო. სიტუაცია გაამძაფრა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, როცა ლუკაშენკოს რეჟიმმა თვითმფრინავის პორტიდან გაიტაცა ბელარუსი ჟურნალისტი რომან პროტასევიჩი. ბევრი მიიჩნევს, რომ ამ სკანდალურ დანაშაულში, ლუკაშენკოს რეჟიმის გარდა, კრემლის ხელიც ურევია. საქმეზე დაწყებულია საერთაშორისო გამოძიება.



— რუსეთის მზარდი აგრესიის წინააღმდეგ უკრაინა და საქართველო აშშ-ის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან და კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ვუჩვენოთ ჩვენი სოლიდარობა უკრაინელ და ქართველ ხალხს, გავამხნევოთ პოლიტიკური ლიდერები, გააძლიერონ აუცილებელი რეფორმები, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს დემოკრატიას მათ ქვეყნებში. მხარს ვუჭერთ უკრაინასა და საქართველოს მათი ევროატლანტიკური მისწრაფებების მიღწევაში. აშშ მოწადინებულია, ხელი შეუწყოს მათ ნატოსა და ევროკავშირის წევრობის რეალობად ქცევას, — აღნიშნა ჯინ შაჰინმა.

სენატორები აცხადებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ტურნეს დროს დაადასტურებენ აშშ-ის ერთგულებას პარტნიორებისადმი.

### ექსპერტები დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ზრდასა და თურქეთის დასავლეთის ორბიტაზე დაბრუნებას ვარაუდობენ

ამერიკელი სენატორები სოლიდარობას უცხადებენ ლუკაშენკოს ოპონენტებს, პირველ რიგში — გატაცებულ ჟურნალისტ პროტასევიჩს.

მინსკში მომხდარის გამო ლუკაშენკოს მკაცრი სანქციები უწესდება. ამერიკელი ექსპერტები მოუწოდებენ აშშ-ის ხელისუფლებას, შეზღუდონ ის ბელარუსული მსხვილი ფირმები, რომლებზეც დამოკიდებულია ბელარუსის ახლანდელი რეჟიმი.

შეგახსენებთ, რომ 23 მაისს მოგონილი საბაბით მინსკის აეროპორტში დაჯდა ათენი-ვილნიუსის რეისი. თვითმფრინავში იმყოფებოდა პროტასევიჩი, რომელიც მეგობარ გოგონასთან ერთად აიყვანეს და დააკავეს.

პროტასევიჩს დიდი წვლილი მიუძღვის ლეკაშენკოს საწინააღმდეგო პროტესტის აგორებაში.

გაირკვა, რომ თვითმფრინავიდან გადმოვიდა რამდენიმე ადამიანი. დასავლეთში ფიქრობენ, რომ ესენი რუსეთისა და ბელარუსის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ, რომლებსაც ოპერაციის მეთვალყურეობა ევალებოდათ.

დასავლეთში ეს ინციდენტი შეფასდა „სახელმწიფო მეკობრეობად“, ასევე — „თავდასხმად ავიაციაზე და საერთაშორისო სამართალზე“.

დასავლელი ექსპერტები ვაშინგტონს პუტინის მიმართ მეტ სიმკაცრეს ურჩევენ. მათი აზრით, ამერიკამ არ უნდა გამოიჩინოს დათმობა რუსეთისთვის სასარგებლო გაზსადენის „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მიმართ, ვინაიდან ლოიალობა დიდი დიქტატორის მიმართ აქეზებს ლუკაშენკოს მსგავს პატარა დიქტატორებს.

ანალიტიკოსების შეფასებით, ივნისის შემდეგ დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბება. 11-13 ივნისს დიდი შვიდეულის სამიტია, 15 ივნისს — ბაიდენისა და პუტინის შეხვედრა, 24-25 ივნისს — ევროკავშირის სამიტი.

თურქი ექსპერტების დასკვნით, ამ შეხვედრების შემდეგ გაიხსნება პანდორას დაძაბულობის ყუთი დასავლეთსა და რუსეთს შორის. აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი, ტრამპისგან განსხვავებით, აძლიერებს ევროატლანტიკურ თანამშრომლობას. ბაიდენის საგარეო პოლიტიკის საფუძველი იქნება მოკავშირეების მატება რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ. ამაში დიდი როლი ექნებათ ნატოსა და ევროკავშირს.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში თურქეთი ხშირად დამოუკიდებლად ან რუსეთთან ერთად მოქმედებდა. თურქი ექსპერტები აცხადებენ, რომ ანკარა აშშ-სა და ნატოს ღერძს უბრუნდება.

თურქეთის სრული დაბრუნება დასავლეთის ორბიტაზე აირეკლება რეგიონში, მათ შორის, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

# ბათუმში ლიბერთი ბანკიდან 3,5 მილიონი ლარი მოიპარეს



„ლიბერთი ბანკის“ ბათუმის ფილიალის ყოფილ მენეჯერსა და კიდევ 14 თანამშრომელს სასამართლოში უჩივიან. მიზეზი მილიონობით თანხის დაკარგვაა.

„ლიბერთი ბანკი“ ბათუმის საქალაქო სასამართლოში იმ თანამშრომლებს ედავება, რომლებთანაც შრომითი ხელშეკრულებები უკვე შეაჩერა. საქმეს მოსამართლე სალიხ შაინიძე განიხილავს.

საქმის მასალების მიხედვით, ბანკიდან 2 მილიონ 533 ათასი ლარი, 202 ათასი ამერიკული დოლარი და 80 ათასი ევროა დაკარგული. სხვადასხვა ტრანზაქციით 37 პირის ანაბრიდან და პირადი ანგარიშიდან თანხას 2015 წლიდან ითვისებდნენ.

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე „ლიბერთი ბანკის“ ადმინისტრაციას ახსნა-განმარტება მიაწოდა ბანკის ბათუმის ფილიალის ყოფილმა მენეჯერმა და თქვა, რომ თანხის მითვისება ხელშეკრულებების გაყალბების გზით მოხერხდა, ასევე გაყალბებული შემნახველი ანგარიშების შექმნით. მას ჯერ სასამართლოსთვის ჩვენება არ მიუცია.

„ბათუმელების“ ინფორმაციით, თანხა ძირითადად ბანკის ფილიალის ყოფილმა მენეჯერმა მიითვისა, რომელიც აზარტული თამაშებით იყო გატაცებული. თუმცა საქმის მასალებში, რომელსაც ჩვენ გავეცანით, ამის შესახებ არაფერი წერია.

ბანკი ითხოვს, რომ დაკარგული თანხა თანამშრომლებს დაეკისროთ, რადგან მიაჩნია, რომ ამ თანამშრომლების არასწორი მოქმედებების შედეგად დაკარგა ბანკმა მილიონები.

# აბასთუმანში 60 წლის მამაკაცი 30 მეტრიდან ხევში ჩავარდა

28 მაისს დაბა აბასთუმანში 60 წლამდე კაცი 30 მეტრიდან ხევში გადავარდა და გარდაიცვალა. მამაკაცი ხევთან ბორდიურს მიეყრდნო, თავი ვერ შეიმაგრა და ხევში ჩავარდა.

ფაქტზე შსს-მ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# სიმთვრალეში მანქანის მართვა პატიმრობით დაისჯება

ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაძლოა პატიმრობით დასჯადი გახდეს – ლევან იოსელიანისა და ალეკო ელისაშვილის ინიციატივა, რომელიც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვაზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს, პარლამენტში ბიუროს უახლოეს სხდომაზე დაინიცირდება.

აღნიშნული კანონპროექტით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 116-ე მუხლი იცვლება. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისთვის, ასევე სატრანსპორტო საშუალების მართვისას კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდებისთვის, პასუხისმგებლობად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერება, ნაცვლად 6 თვისა.



ასევე, მართვის უფლების შეჩერების პერიოდში, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 2.000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 15 დღემდე ვადით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის 1 წლით გაზრდას, ნაცვლად მძღოლის დაჯარიმებისა 700 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის 1 წლით გაზრდისა.

# მტკვარში კასპში დაკარგული მწყემსის ცხედარი იპოვეს

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს. სავარაუდოდ, საუბარია პირზე, რომელიც პირუტყვის მწყემსვის დროს მდინარეში გასაგრილებლად შევიდა და გაუჩინარდა.

მამაკაცის ცხედარი მეხანძრე-მაშველებმა სოფელ მიქელწყაროსთან იპოვეს.

მდინარე მტკვარში კაცის ცხედრის პოვნის შესახებ ინფორმაცია „ინფო რუსთავს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაუდასტურეს და განგვიცხადეს, რომ კაცის საძიებო-სამაშველო ოპერაცია 21 მაისიდან ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გაუჩინარებული პირის სამძებრო სამუშაოებში ჩართული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 50 მეხანძრე-მაშველი, ორი მყვინთავი და სამი მცურავი საშუალება, პარალელურად, ტერიტორიის მონიტორინგი მიმდინარეობდა დრონის საშუალებით.

# იმერეთში უკანონო ტყითსარგებლობის 7 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იმერეთში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 7 ფაქტი გამოავლინეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, უკანონო ჭრა-ტრანსპორტირების 2 ფაქტია გამოვლენილი ჭიათურისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში.

სოფელ რცხილათის მიმდებარე ტყეში მოქალაქემ უკანონოდ მოჭრა წიფლისა და რცხილის სახეობის 3 ერთეული ხე-მცენარე და მისგან მიღებულ ხე-მასალის უკანონო ტრანსპორტირება მოახდინა. სოფელ ჭოგნარში კი მოქალაქემ უკანონოდ მოჭრა 3 ერთეული მუხის სახეობის ხე და ასევე უკანონოდ მოახდინა მისგან მიღებული ხე-მასალის ტრანსპორტირება.

ხე-ტყის უკანონო მოპოვების 5 ფაქტი კი გამოვლენილია საჩხერის, ხარაგაულის, ჭიათურისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. მოქალაქეებმა ტყის ფონდის ტერიტორიებზე უკანონოდ 20 ერთეულამდე ფიჭვის, თხმელისა (მურყანი) და ალვის სახეობის ხე-მცენარე მოჭრეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა აღნიშნულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები შეადგინეს. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებში გადაიგზავნება.

# ბათუმში მაღაზია გაქურდეს – წაღებულია ცივი სასმელები

ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაზე, მაღაზია გაქურდეს. არსებული ინფორმაციით, წაღებულია ცივი სასმელები. ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული. დაწყებულია გამოძიება.

მაღაზიაში აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში ქურდობის რამდენიმე შემთხვევა მოხდა.

# თბილისში, პეკინზე, ტოიოტა საიუველიროში შევარდა

29 მაისს თბილისში, პეკინის გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად „ტოიოტა პრიუსის“ მარკის ავტომობილი საიუველირო მაღაზია „მანდარინას“ შესასვლელს დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაზიანდა მაღაზიის შესასვლელი მინის კარი და ჯებირი. ინციდენტის შედეგად დაშავდა მძღოლი, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

# რუსთავის „აზოტთან“, არხში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ, 30 მაისს, რუსთავის „აზოტის“ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არხში, ინტენსიური საძიებო სამუშაოების შედეგად, მაშველებმა 50 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

როგორც ოჯახის ახლობლები აცხადებდნენ, მამაკაცი 29 მაისს არხში სათევზაოდ ჩავიდა და ის წყლის დინებამ გაიტაცა.

საძიებო სამუშაოებში ჩართული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის რუსთავისა და თბილისის სამსახურის 40-ზე მეტი მაშველი, ასევე 2 აკვალანგისტი.

მამაკაცის საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად არხში წყლის დონის ხელოვნურად დაკლებაც მოხდა.

# კასპში მოკლულ ნოდარ ღუნაშვილს კისერზე 19 ჭრილობა აღმოაჩნდა



კასპში მოკლული 34 წლის ნოდარ ღუნაშვილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ცნობილია.

ღუნაშვილის გარდაცვალება კისერში მიყენებულმა 19-მა ჭრილობამ გამოიწვია.

გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ის მისმა მეუღლე ქეთევან ჩხაიძემ, რომელიც ახლა დანაშაულის დაფარვისთვისაა დაკავებული, თავში საგნის ჩარტყმით მოკლა, გამოირიცხა.

დასკვნის თანახმად, ნოდარ ღუნაშვილი ნასვამ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. ამავე დასკვნის მიხედვით, სისხლში მხოლოდ 1 ნარკოტიკული საშუალება აღმოჩნდა.

ნოდარ ღუნაშვილის მკვლელობის ბრალდებით მისი მეგობარი, 30 წლის ზურაბ კახიშვილი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ღუნაშვილს ანგარიშსწორების მიზნით ცივი იარაღით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

ამის შემდეგ დანაშაულის დაფარვის ბრალდებით ღუნაშვილის მეუღლე, 31 წლის ქეთევან ჩხაიძე დააკავეს.

ქეთევან ჩხაიძე დაკავებამდე „ტვ პირველთან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ მისი მეუღლე სექსუალური ურთიერთობაზე უარის გამო გაბრაზდა და სცემა, შემდეგ დიდი ოდენობით საძილე წამლები დალია, მერე სამზარეულოში დავარდა და თავის არეში დაზიანება მიიღო. ამის შემდეგ ღუნაშვილი დაწვა, თავად კი ქმრის მეგობარს მესიჯი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა.

ქალის ინტერვიუს მიხედვით, მეუღლე მეგობართან ერთად სახლიდან საკუთარი ავტომანქანით წავიდა, უკან კი მხოლოდ მეგობარი დაბრუნდა – „მოვკალიო, სისხლები ჯერ ისევ ზედ ჰქონდა... შენ გამო გავაკეთე, ასეთ დღეში რომ გაგდებდა, ახლა თავისუფალი ხარ და არავისი შეგეშინდებაო, მითხრა“, – აცხადებდა დაკავებამდე ქეთევან ჩხაიძე.

# გორიჯვართან ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს

გორის პოლიციის თანამშრომლებმა გორიჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარდაცვლილი მამაკაცი ნახეს.

28 მაისს, საღამოს, დაახლოებით 21 საათზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადაც გამოიძახეს. ექიმებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

სამართალდამცველების განცხადებით, ის 25 წლამდე ასაკის იყო.

მიმდინარეობს გამოძიება.

# რუსთავში 74 წლის ქალი ლიფტში გაიჭედა და ცუდად გახდა

რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, 74 წლის ქალი ლიფტში გაიჭედა.

როგორც ამალია როსტიაშვილი „ინფო რუსთავს“ უყვება, ლიფტი მე-6 სართულზე გამოიძახა და პირველზე ჩასვლის შემდგომ გარეთ გამოსვლა ვეღარ მოახერხა.

ადგილზე სამაშველო სამსახური თავად გამოიძახა, შემდეგ კი კარზე ბრახუნით მეზობლებს მიაწვდინა ხმა, თუმცა მათ საკუთარი ძალებით ლიფტის კარის გახსნა ვერ შეძლეს.

როგორც ქალი ყვება, დახურულ სივრცეში დაახლოებით 7 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა, მანამ, სანამ ფალიაშვილის ქუჩაზე მაშველები არ მივიდნენ.

ამალია როსტიაშვილი „ინფო რუსთავთან“ ლიფტების პრობლემაზე საუბრობს და ამბობს, რომ კორპუსში არსებული ლიფტი სავალალო მდგომარეობაშია.

ადგილზე მივიდა ხელოსანიც, რომელმაც აღნიშნული ბრალდებები უარყო, თქვა, რომ ლიფტებს ყურადღებას სისტემატურად აქცევს და განაცხადა ისიც, რომ ქალს კარის გახსნა შიგნიდან შეეძლო.

ამალია როსტიაშვილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა. მას ემოციური ფონი განუვითარდა და ექიმები შესაბამისი მედიკამენტებით დაეხმარნენ.

ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურის, საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების რამდენიმე ეკიპაჟი.

# რუსთავში ბმვ პატრულს გაექცა და 3 მანქანა დაამტვრია

29 მაისს რუსთავში, შარტავას გამზირზე, ავტომობილი, რომელიც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს გაურბოდა, 3 ავტომობილს შეეჯახა.




როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავთან“ თვითმხილველებმა განაცხადეს, ბმვ-ს მარკის მსუბუქ ავტომობილს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მისდევდა.

დამალვის მიზნით მძღოლი შარტავას გამზირის შიდა ქუჩაზე შევიდა და გაჩერებულ ავტომობილებს, ჯერ „ოპელის“, შემდეგ „ფორდის“ სატვირთოსა და ბოლოს „მიცუბიშის“ მარკის მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა.

ავარიის შემდეგ ბმვ-ს მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თვითმხილველები ყვებიან, რომ ქუჩაზე ხალხი სეირნობდა და ბავშვები თამაშობდნენ, როდესაც ავტომობილი დიდი სისწრაფით შემოვარდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ორი ეკიპაჟი.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.332 ფაქტი გამოავლინა



ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.332 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.332 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 80 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1.024 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 228 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს“, – აღნიშნავენ უწყებაში.

# გერმანიამ მის მიერ ნამიბიის 2 ტომის განადგურება გენოციდად აღიარა




## ის ნამიბიას 1,1 მილიარდი ევროთი დაეხმარება

გერმანიამ კოლონიალური ჯარების მიერ ჰერეროსა და ნამას ტომების განადგურება გენოციდად აღიარა და ნამიბიას 1.1 მილიარდი ევროს ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა განაცხადა, რომ თითქმის 5-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ გერმანიამ და ნამიბიამ შეთანხმებას მიაღწიეს ერთობლივი ისტორიის ყველაზე ბნელი ეტაპის შეფასებაში.

გარდა ამისა, გერმანია გენოციდის მსხვერპლთა შთამომავლებს ბოდიშს მოუხდის.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, 1.1 მილიარდი ევროს მოცულობის ფინანსური დახმარების პაკეტი ნამიბიაში სოფლის მეურნეობის, წყალმომარაგებისა და პროფესიული განათლების განვითარებას მოხმარდება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის მიერ ჰეროროსა და ნამას ტომების გენოციდის აღიარება კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ უზრუნველყოფს, ხოლო შეთანხმებული ფინანსური დახმარება რეპარაციებს არ ნიშნავს.

მე-19 საუკუნეში გერმანელებმა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია საკუთარი ინტერესების ფარგლებში მოაქციეს. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის მიუხედავად, გერმანელები დაკავებულ ტერიტორიებს არ თმობდნენ.

განხეთქილება გერმანელებსა და ნამიბიელებს შორის მას შემდეგ გამწვავდა, რაც ნათელი გახდა, რომ გერმანელები ტერიტორიებს ისაკუთრებდნენ და ზრდიდნენ საკუთარ კაპიტალს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას უფრო და უფრო ავიწროებდნენ და დევნიდნენ.

1904 წელს რეგიონის სამხედრო გუბერნატორმა ლოტერ ფონ ტროტამ ადგილობრივების აჯანყების ჩასახშობად ორი მეამბოხე ტომის სრულად განადგურების ბრძანება გასცა. ტროტას ბრძანებით, გერმანიის საზღვრების ფარგლებში არც ერთი ჰერერო კაცი ცოცხალი არ უნდა დარჩენილიყო, ხოლო ქალები და ბავშვები უდაბნოში უნდა გაეძევებინათ, სადაც მათ უწყლობით სიკვდილი ელოდათ.

გენოციდის მსხვერპლი მაშინ 80.000-მდე ადგილობრივი მოსახლე გახდა.

# ბორის ჯონსონმა კერი სიმონდსზე იქორწინა



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, 56 წლის ბორის ჯონსონმა და 33 წლის კერი სიმონდსმა უესტმინსტერის კათედრალში იქორწინეს.

ცერემონია 28 მაისს ჩატარდა და მას მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები ესწრებოდნენ.

ბორის ჯონსონი და კერი სიმონდსი 2020 წლის მარტში დაინიშნნენ და იმავე წლის აპრილში მათ ვაჟი შეეძინათ.

ბორის ჯონსონის წინა ქორწინება 2018 წელს დასრულდა.

ჯონსონი ბოლო 200 წლის განმავლობაში პირველია, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას დაქორწინდა.

# ჩეხეთიდან რუსეთის საელჩოს 54 თანამშრომელი გააძევეს

პრაღიდან რუსეთის საელჩოს 54 თანამშრომელი გააძევეს. ყველა მათგანი თვითმფრინავით მოსკოვში ჩაიყვანეს.

ჩეხეთიდან ასეთი მასშტაბური გაძევება ჯერ არ ყოფილა.

# სროლა მაიამიში — 2 ადამიანი დაიღუპა, 20-ზე მეტი დაიჭრა




2 ადამიანი დაიღუპა და 20-ზე მეტი დაიჭრა სროლების შედეგად ფლორიდის შტატში, მაიამის ოლქში.

მაიამის პოლიციის დირექტორი „ტვიტერის" გვერდზე წერს, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრილია 20-ზე მეტი ადამიანი, 2 კი გარდაიცვალა.

მისივე თქმით, ბოროტმოქმედებმა ცეცხლი ადამიანთა ჯგუფს გაუხსნეს. ისინი ცეცხლსასროლი იარაღიდან უმისამართოდ ისროდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ვისკის მწარმოებელმა საწარმომ სამსახურში ძაღლი აიყვანა



შოტლანდიაში ვისკის მწარმოებელმა საწარმო Grant,s Whisky-მ კოკერ-სპანიელის ჯიშის ძაღლი, სახელად როკო, კასრების ინსპექტორის რანგში სამსახურში აიყვანა. მისი სამსახურია, სუნით დაადგინოს ხის მასალის ვარგისიანობის ხარისხი და რამდენად იქნება შესაძლებელი მისი სპირტიანი სასმელის შესანახად გამოყენება.

გარდა ამისა, როკოს მოვალეობაში შედის მთელი საწარმოს შემოვლა. თუ ერთი წლის ასაკის ცხოველი იგრძნობს უცნაურ სურს, ის ამის თაობაზე აცნობებს საწარმოს თანამშრომლებს და კერძოდ, ბრენდ-დირექტორ კრის ვუფს.

– ხე ეს არის ბუნებრივი მასალა, ხოლო ვისკის დისტილაცია არის ორგანული პროცესი, ამიტომ ჩვენი სამუშაო იმაში მდგომარეობს, დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი იდეალურადაა, ვინაიდან ვისკის დავარგება მუხის კასრებში ხდება, – განმარტა ვუფსმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ძაღლის მიერ სუნის შეგრძნების უნარი 40-ჯერ აღემატება ადამიანისას. ამ დროისთვის, როგორც საწარმოს ბრენდ-დირექტორმა აღნიშნა, მრავალი ღვინის მწარმოებელი მექანიკურ „ცხვირებს" იყენებს. თუმცა Grant,s Whisky-მა გადაწყვიტა შეინარჩუნოს ტრადიცია და საკუთარი პროდუქციის ხარისხის კონტროლი ძაღლის ბუნებრივ ყნოსვას მიანდოს.

# 11 წლის გოგონამ გამტაცებლების თავდასხმა მოიგერია




ამერიკის ფლორიდის შტატის ესკამბიას ოლქში 11 წლის მოსწავლე გოგონამ გამტაცებლების თავდასხმის მოგერიება შეძლო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი სამშაბათს, დილით მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ თამაშობს გოგონა ცისფერი სათამაშოთი გზის პირას და სკოლის ავტობუსის მოსვლას ელოდებოდა. მოულოდნელად გზის მოპირდაპირე მხარეს თეთრი ფერის მანქანა გაჩერდა, რომლიდანაც მამაკაცი გადმოხტა. მან გოგონას ხელი სტაცა და მანქანისკენ წათრევა დაუწყო, მაგრამ გოგონამ მისგან თავის დაღწევა შეძლო.

– ის იბრძოდა, მას ხელები არ ჩამოუყრია, – შეაქო გოგონა პოლიციელმა ჩიპ სიმონსმა. მისი აზრით, გოგონა სწორად მოიქცა, როდესაც მამაკაცს ხელიდან დაუსხლტა, სახლამდე მიირბინა და მომხდარის შესახებ მშობლებს უამბო. მათ, თავის მხრივ, მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობეს.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერების წყალობით სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი დააკავეს. ის 30 წლის ჯარედ პოლ სტანგა აღმოჩნდა. მას ბავშვის მოტაცების მცდელობა, დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმა და სხეულზე დაზიანებების მიყენება ბრალდება. პოლიციის განცხადების თანახმად, მამაკაცი თავდასხმის დროს დანით იყო შეიარაღებული.

# ნაპოლეონისთვის განკუთვნილი ღვინის ერთ-ერთი ბოლო ბოთლი აუქციონზე გაიყიდა




ერთ-ერთი უკანასკნელი ღვინის ბოთლი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონისთვის იყო განკუთვნილი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 420 ათას რენდად გაიყიდა.

1821 წლის მოსავლის ბოთლი ღვინო გრანდ კონსტანცა გასაყიდად გაიტანეს აუქციონზე, რომელსაც კრისტის აუქციონის სახლის წარმომადგენლები მართავდნენ. მისი მყიდველი დიდი ბრიტანელი კრისტის კლიენტი გახდა.

ღვინო გრანდ კონსტანცა, რომელიც თანამედროვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნისგან მზადდება, დიდი პოპულარობით სარგებლობდა XIX საუკუნის დასაწყისში. 1821 წელს მოსავლის დიდი ნაწილი ნაპოლეონისთვის ღვინის დამზადებას მოხმარდა, თუმცა საფრანგეთის ყოფილი იმპერატორი იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც შეკვეთა ჯერ კიდევ არ იყო მიწოდებული. ითვლებოდა, რომ ჩვენ დრომდე მხოლოდ 12 ბოთლმა მოაღწია და სწორედ ერთ-ერთი მათგანი იქნა აუქციონზე გაყიდული.

# ორმა მეთევზემ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ძროხა გადაარჩინა



დასავლეთ ავსტრალიის შტატში, მდინარე ორდზე ორმა მეთევზემ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ძროხა 20 ნიანგისგან გადაარჩინეს.

გრანტ მელეისი და ტრევორ ტირნი მდინარე ორდიზე სათევზაოდ იმყოფებოდნენ.

– ჩვენ მთელი დღე ვთევზაობდით და ბანაკში დაბრუნებას ვაპირებდით, როდესაც შევნიშნეთ ორი ძროხა, რომლებიც ნაპირზე ტალახში იყვნენ ჩაფლულები. ისინი თავის დაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ უფრო მეტად ეფლობოდნენ, – განაცხადა მელეისმა.

მეთევზეებმა ნავი ნაპირზე მიაბეს და ცხოველებს დასახმარებლად მიაშურეს. ისინი ხის ტოტებით შეიარაღდნენ იმ შემთხვევისთვის, თუკი მათ ნიანგები თავს დაესხმებოდნენ. ერთ-ერთმა ძროხამ დაუხმარებლად მოახერხა მშრალ ნაპირზე გაღწევა, მეორე კი ისევ ადგილზე რჩებოდა. მეთევზეებმა მას კისერზე თოკი გადააცვეს და მოქაჩეს.

– ძროხას არაქათი გამოცლილი ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა, ხოლო როდესაც ხმელეთზე ამოვიყვანეთ, გონება დაკარგა, – აღნიშნა მელეისმა.

ცხოველების გადარჩენის შემდეგ მეთევზეებმა ნავით გზა გააგრძელეს და იმ ადგილიდან სულ რაღაც ოთხ მეტრში, ნახეს, რომ 20 ნიანგი კიდევ ერთი ძროხის ჭამით იყო დაკავებული.

# მამაკაცმა 400 მილიონი დოლარის ბიტკოინი ნოუთბუქის გამო დაკარგა



მამაკაცი კრიპტომილიონერი ვერ გახდა და დეპრესიაში საკუთარი დედის გამო აღმოჩნდა, რომელმაც მისი ძველი ნოუთბუქი გადააგდო. პორტალ რედიტის მომხმარებელი მოყვა, რომ მის პერსონალურ მოწყობილობაზე ინახებოდა 400 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის კრიპტოვალუტა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის დასაწყისში მამაკაცმა 10 ათასი ბიტკოინი შეიძინა, რაშიც დაახლოებით 80 დოლარი დახარჯა. მაშინ დაარწმუნეს კოლეჯის მეგობრებმა, კრიპტოვალუტის შენახვის მისამართის ციფრული გასაღები ფლეშკიდან ნოუთბუქში გადაეტანა. სწავლის დასრულების შემდეგ არშემდგარ მილიონერს საკუთარი ანაბრის შესახებ დაავიწყდა.

ოთხი წლის შემდეგ, როდესაც კრიპტოვალუტის ფასი ავარდა, მამაკაცს თავისი შენაძენი გაახსენდა და დედის სახლს მიაშურა თავისი ძველი ნოუთბუქის სანახავად. აღმოჩნდა, რომ ქალმა ის გადააგდო, ვინაიდან თვლიდა, რომ ის დიდი ხანია გაფუჭებული იყო.

– გონება დავკარგე. გაცოფებული, გაოგნებული ვიყავი და დეპრესიაში ჩავვარდი, – განაცხადა პორტალის მომხმარებელმა. მისი თქმით, ხელიდან გაშვებულმა გამდიდრების შესაძლებლობამ მას სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა. მას შემდეგ ის ყოველდღე მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ შეეძლო კრიპტომილიონერი გამხდარიყო.

# „პომპეუსის ხიდის" მდგომარეობას ექსპერტები შეისწავლიან

მცხეთაში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „პომპეუსის ხიდის" მდგომარეობას ექსპერტები შეისწავლიან.

კონსერვაციის მიზნით ადგილზე იმყოფებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე სოზარ სუბარი, მცხეთის მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე, კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას" წარმომადგენლები, არქიტექტორ-რესტავრატორები და ხიდების კონსტრუქტორები.

ბოლო რამდენიმე წელია, მცხეთის მოსახლეობა აქტიურად ითხოვს „პომპეუსის ხიდის" მდგომარეობის შესწავლას, რომელიც ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ წყლით არის დაფარული. ძეგლის შესწავლისა და შემდგომში მისი კონსერვაციის გეგმის შედგენის მიზნით, სამინისტროს შუამდგომლობით, კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიამ" დროებით წყლისგან გაათავისუფლა ხიდი და სპეციალისტებს საშუალება მიეცათ, დაიწყონ ძეგლის მდგომარეობის შესწავლა.

– მინდა, მადლობა გადავუხადო კერძო კომპანიას, რომელმაც ძალიან სწრაფად, ჩვენი შუამდგომლობის შემდეგ, რამდენიმე დღეში მიიღო გადაწყვეტილება წყლის დაცლის შესახებ და ჩვენ გამოვაჩინეთ „პომპეუსის ხიდი" თავისი სხვადასხვა შრით. გვაქვს 48 საათიდან 72 საათამდე პერიოდი იმისათვის, რომ პირველადი ნაბიჯები გადაიდგას, მაგალითად, ამ ძეგლს მოშორდეს მცენარეები, რომლებიც, რა თქმა უნდა, თავიანთი ფესვებით აზიანებენ ქვას და ასევე არქეოლოგებმა შეძლონ პირველადი სამუშაოების განხორციელება. რასაკვირველია, ეს პერიოდი არ იქნება საკმარისი სრულფასოვანი კვლევისათვის, მაგრამ ეს არის პირველი ნაბიჯი და ჩვენ „ენერგო-პრო ჯორჯიასთან" გავაგრძელებთ ძალიან აქტიურ თანამშრომლობას იმისათვის, რომ ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იქნეს შენარჩუნებული და მომავალში შეძლებისდაგვარად შევძლოთ საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებაც, – განაცხადა თეა წულუკიანმა.



„პომპეუსის ხიდის" მდგომარეობას შეისწავლის ექსპერტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის სანებართვო პირობების კონტროლის განყოფილების უფროსი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის წარმომადგენელი, არქეოლოგი, პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ნიკოლაიშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე, არასამთავრობო, პროფესიული ორგანიზაცია იკომოს საქართველო დამფუძნებელთა საბჭოს წევრი მერაბ ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორი გია ციციშვილი, კონსტრუქტორი ზურაბ გუბელაძე, კონსტრუქტორი ზურაბ ოქროშიძე, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ჭანიშვილი, ხიდებისა და გვირაბების პროექტირების სპეციალისტი ჯუმბერ ვაშაკიძე და სამეცნიერო და კონსტრუქტორული კვლევითი სამუშაოების სპეციალისტი იოსებ მიქაძე.

მცხეთის ძველი „პომპეუსის ხიდი" მდებარეობს მცხეთის შესასვლელთან, მტკვრის კუნძულოვან ზონაში. სამეცნიერო ლიტერატურასა და ადგილობრივ მოსახლეობაში მტკვარზე გადებული ძველი ხიდი, რომელიც ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ თითქმის ყოველთვის დაფარულია წყლით, უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც „პომპეუსის ხიდი", თუმცა ხიდი პომპეუსამდეც არსებობდა და მისი აშენება რომაელ სარდალს არ უკავშირდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ზვიგენების თავდასხმის შემდეგ მამაკაცი გინეკოლოგთან მოხვდა

ორი ზვიგენი, თითოეული 2,5 მეტრი სიგრძის, თავს დაესხა ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ დეკეიტერის მცხოვრებ მამაკაცს, რომელიც ბელიზში დასასვენებლად იყო ჩასული.

ინციდენტი მამაკაცის შვებულების მეოთხე დღეს მოხდა, როდესაც ჩედ ბარკერი და მისი მეუღლე წყალქვეშ ცურვით იყვნენ დაკავებულები. როგორც კი მამაკაცი წყალში აღმოჩნდა, დინებამ ის ძიძა-ზვიგენებისკენ გაიტაცა, რომლებიც შორიახლო პატარა თევზებზე ნადირობდნენ. 30 წამში მას ხელში ორი მოზრდილი ზვიგენი ჩააფრინდა.



ბარკერი დაუყოვნებლივ ამოვიდა ხმელეთზე.

– როდესაც ხელის მტევანი ზვიგენის ყბებისგან გავითავისუფლე, მასზე შეხედვამ შემზარა, – აღიარა ამერიკელმა. ზვიგენების თავდასხმის შემდეგ ბარკერს ხელზე ღრმა ჭრილობები დარჩა, რომლებსაც ნაკერის დადება ესაჭიროებოდა. ახლომახლო საავადმყოფო არ აღმოჩნდა და ამიტომ მამაკაცი იძულებული გახდა, ადგილობრივ გინეკოლოგთან ჩაწერილიყო მიღებაზე. 200 დოლარის სანაცვლოდ ის მისთვის ნაკერების დადებას დათანხმდა. მიუხედავად დაზიანებებისა, ბარკერმა გადაწყვიტა შვებულების ვადის ამოწურვამდე აშშ-ში არ დაბრუნებულიყო. მან ბელიზში კიდევ სამი დღე დაჰყო, მუდმივად მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელებს, რათა ამით ტკივილებს ხელის არეში უფრო ადვილად გამკლავებოდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი გაირკვა, რომ ბარკერს ჭრილობაში ინფექცია შეეჭრა, ასე რომ, ახლა მას ოპერაციის გაკეთება დასჭირდება. მას მოაშორებენ ძველ ნაკერებს, იარებს დაუმუშავებენ და ახალ ნაკერებს დაადებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ინგლისური ფინალი ჩელსიმ მოიგო

**სიტი-ჩელსი 0:1**

**პორტუ. დრაგაუ**

0:1 ჰავერცი (42)

**სიტი:** ედერსონი, უოკერი, სტოუნზი, დიაში, ზინჩენკო, ბერნარდო სილვა (ფერნანდინიო 64), გიუნდოგანი, ფოდენი, მარეზი, დე ბრუინი (ჟეზუსი 60), სტერლინგი (აგუერო 76)

**ჩელსი:** მენდი, რიუდიგერი, ტიაგო სილვა (კრისტენსენი 39), ასპილიკუეტა, ჩილუელი, ჟორჟინიო, კანტე, ჯეიმსი, მაუნტი (კოვაჩიჩი 80), ჰავერცი, ვერნერი (პულიშიჩი 65)

ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ პარიზში, სენ-ჟერმენის ოფისში, ყველა ინანებდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. საქმე ის არის, რომ გასულ წელს პსჟ ამავე ტურნირის ფინალში ტომას ტუხელმა გაიყვანა, რომელიც იანვარში გუნდიდან გააგდეს. გერმანელმაც ბრიტანეთს მიაშურა, ჩელსი ჩაიბარა და ლონდონურ კლუბს ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი მოაგებინა.

ზედიზედ მესამე წელია, ჩემპიონთა ლიგას გერმანელი მწვრთნელები იგებენ – იურგენ კლოპი, ჰანს ფლიკი, ტომას ტუხელი. მსგავსი რამ 1980-82 წლების ინგლისელებსაც გაუკეთებიათ, როდესაც ბრაიან კლაფმა (ნოტინგემ ფორესტი), ბობ პეისლიმ (ლივერპული) და ტონი ბარტონმა (ასტონ ვილა) თავიანთ გუნდებს ჩემპიონთა თასი მოაგებინეს.

მანჩესტერ სიტიმ კი ბოლო ორ თვეში მესამედ წააგო ჩელსისთან. თუ იმ ორ მარცხს „გამართლება" აქვს, ჩემპიონთა ლიგის ფინალს პეპ გვარდიოლა ვერ გაამართლებს. არადა, ესპანელი სპეციალისტი მუდმივად ფავორიტ გუნდებს წვრთნის და 2011 წლის შემდეგ ლიგა არ მოუგია.

ტუხელმა ფინალში აშკარად დაჩაგრა ვიზავი. სიტის სულ 2-3 მომენტი ჰქონდა და ვერ გამოიყენა. ჩელსის კი დაცვის ზღუდეც გამაგრებული ჰქონდა და მეტოქეზე უკეთ იხეირა შეტევაში. ერთადერთი გოლიც გერმანელმა გაიტანა – კაი ჰავერცმა. ეს პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა.

მე-2 ტაიმში სიტი შეეცადა, რადიკალურად შეეცვალა სიტუაცია, მაგრამ, როდესაც მთავარი ლიდერი კევინ დე ბრუინი დაიმტვრა, ძალა გამოაკლდა და ბელგიელის გარეშე მატჩის შემობრუნება საერთოდ გაუჭირდა.

ჩელსიმ დამსახურებულად მოიგო...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნგოლო კანტე**

ორივე ნახევარფინალსა და ფინალში კანტე შეუდარებელი იყო. მან ურთულესი სამუშაო შეასრულა როგორც დაცვაში, ისე – შეტევაში. რომ იტყვიან, ყველგან იყო და ცენტრში გუნდს ადუღაბებდა.

**პეპ გვარდიოლა:**

– ვფიქრობ, საუკეთესო არჩევანი გავაკეთე, ვეცადე, გამარჯვება მოგვეპოვებინა. მეორე ტაიმი ბევრად უკეთ ჩავატარეთ, მაგრამ ჩელსის დაცვის წინაალმდეგ თამაში ადვილი არ იყო. მინდა ვთქვა, რომ ჩვენთვის განსაკუთრებული სეზონი იყო. სამწუხაროდ, ფინალი ვერ მოვიგეთ, ვცდილობდით, მაგრამ ვერ გავაკეთეთ. ამის შემდეგ უფრო მეტს ვიმუშავებთ. მძიმე თამაში იყო, სიტი პირველად იყო ჩემპიონთა ლიგის ფინალში, კარგად ვითამაშეთ, გამბედაობა ვაჩვენეთ, განსაკუთრებით – მეორე ტაიმში. მინდა, მეტოქეს მივულოცო. მათ განსაკუთრებული სეზონი ჰქონდათ. ახლა მინდა სახლში, ჩემს ოჯახთან წასვლა. დიდი ხანია, რაც არ მინახავს. ამის შემდეგ კლუბში დავბრუნდები. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სიტი მსოფლიოში საუკეთესო კლუბი იქნება.

**ტომას ტუხელი:**

– ამ გამარჯვების ყველასთვის გაზიარება წარმოუდგენელია. ჩვენ ეს შევძელით. არც კი ვიცი, რას ვგრძნობ. ძალიან მადლიერი ვარ, რომ ფინალში მეორედ ყოფნის შესაძლებლობა მომეცა. ფეხბურთელებს თამაშის მოგება უნდოდათ. ყველას ვუთხარი, რომ წინ წასულიყვნენ, სახიფათო კონტრშეტევებზე გადასულიყვნენ. რთული თამაში იყო, ერთმანეთს უნდა დავხმარებოდით. მანჩესტერ სიტი ძლიერი გუნდია. ვიცოდით, რომ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მოგების შანსი გვქონდა და ეს გავაკეთეთ. ძალიან ბედნიერი ვარ და ვუზიარებ ამ გამარჯვებას ყველას, ვინც კლუბში ასე ბევრს მუშაობს. ეს უდიდესი გამოცდილება და წარმატებაა. ეს ფანტასტიკური მიღწევაა და ყველას ვულოცავ. მოედანზევე ვესაუბრე აბრამოვიჩს. ეს საუკეთესო მომენტი იყო ჩვენი პირველი შეხვედრისთვის – ან იქნებ ყველაზე ცუდი, რადგან ახლა შედეგების მხოლოდ გაუარესება შეიძლება.

## შედეგები

**29 მაისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

სიტი-ჩელსი .................................... 0:1

**ამხანაგური მატჩი**

შვედეთი-ფინეთი .......................... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**ფლეი ოფი**

ბრენტფორდი-სუონსი .................. 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**ფლეი აუტი**

კილი-კიოლნი .................................. 1:5

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ტენერიფე-ოვიედო ........................ 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

სტ.პოლტენი-ავსტრია .................. 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-კარვინა ................................ 1:1

ბოლესლავი-ბოჰემიანსი 1905 ........ 3:1

ოპავა-პლზენი ................................. 1:3

პარდუბიცე-იაბლონეცი ............... 0:1

სლავია-ჩესკე ................................... 2:1

ლიბერეცი-სიგმა ............................ 1:2

სლოვაცკო-ზლინი ......................... 2:0

სპარტა-ბრნო .................................. 6:1

ტეპლიცე-პრჟიბრჟამი .................. 2:2

# რუსთავმა საქართველოს ჩემპიონობა 11 წლის შემდეგ მოიპოვა

**ცხუმი-რუსთავი 88:94**

**(17:25, 23:25, 32:23, 16:21)**



რუსთავის საკალათბურთო კლუბი 11-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ საქართველოს ჩემპიონია. ანატოლი ბოისას მთავარი მწვრთნელობით, რომელსაც ასისტენტობას მიხეილ ბერუაშვილი და ზურა მაჭავარიანი უწევდნენ, ქვემოქართლურმა გუნდმა ფინალური სერიის მე-3 მატჩიც მოუგო ცხუმ-აფხაზეთს და 2010 წლის შემდეგ სუპერლიგის ჩემპიონი გახდა.

მართალია, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა ცხუმ-აფხაზეთმა ფინალური სერია 0:3 წააგო, მაგრამ ეს გუნდი ქების ღირსია. წინა მატჩის მსგავსად, ცხუმელებმა ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლეს, გამარჯვებასთან საკმაოდ ახლოსაც იყვნენ, თუმცა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რუსთაველებმა გადამწყვეტ წუთებში მაინც იძალეს – 94:88 იმარჯვეს და სეზონის უმთავრესი – საჩემპიონო ტიტულის მფლობელები გახდნენ.

რუსთაველთა ინდივიდუალური ოსტატობა ვახსენეთ და აი, რატომ: თამაშის დასრულებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა, როცა ქვემოქართლელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ჯილან ვაშინგტონმა მე-5 პერსონალური მიიღო და მოედნიდან გავიდა. იმავე მიზეზით მანამდე რუსთაველებმა ხუთეულის წევრები – მერაბ ბოქოლიშვილი და გეგი ბაქრაძეც დაკარგეს, ანუ რუსთაველთა ბირთვის სოლიდური ნაწილი თამაშგარეთ აღმოჩნდა, თამაშის ბოლო იყო, ყველა გადაღლილი, გააზრებული კომბინაციის გათამაშების რესურსი რუსთაველებს, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ და ყველაფერი ინდივიდუალურ ოსტატობაზე დაეკიდა.

მისასალმებელია, რომ რუსთავის ლეგიონერებთან ერთად თამაშის ბედის განმსაზღვრელი ახალგაზრდა ზურა ვაშაკიძეც გახლდათ, რომელმაც ბოლოსწინა წუთზე უმნიშვნელოვანესი 3-ქულიანი ჩააგდო და ქვემოქართლელები 90:86 დააწინაურა. ეს გახლდათ ის სოლიდური უპირატესობა, რომელსაც პატარა ხელის შეშველება უნდოდა და გამარჯვება გარანტირებული იყო. ეს მცირედი საკმაოდ ბარაქიანი გამოუვიდა მალიქ უაითის, რომელმაც საჯარიმოები ჩააგდო, ბურთი ჩაჭრა და სწრაფი, ზუსტი გარღვევა განახორციელა. ამერიკელმა გამთამაშებელმა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში ქვემოქართლელთა ერთ-ერთი ლიდერი იყო, მოხდენილი წერტილი დასვა.

რუსთაველებმა, გამარჯვებასთან ერთად ჩემპიონობაც, გაინაღდეს და 11-წლიანი პაუზის შემდეგ მოგებული ტიტული ემოციურად იზეიმეს. 11 წლის წინანდელი რუსთავის ჩემპიონი გუნდიდან ახლანდელ შემადგენლობაში 5 ადამიანი გახლავთ: მიხეილ ბერუაშვილი, ანატოლი ბოისა, გოგა ცეკვავა, რეზო ჩაჩანიძე და ზურა მაჭავარიანი. ბერუაშვილი მაშინ მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ხოლო დანარჩენები – მოთამაშეები. ახლა ანატოლი ბოისა მთავარი მწვრთნელია, ბერუაშვილი და მაჭავარიანი – მისი ასისტენტები, ცეკვავა და ჩაჩანიძე კი კვლავ მოთამაშის ამპლუაში გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.

ჩემპიონობის მომტან მატჩში რუსთაველებს სუპერლიგის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა მაიკ დევისმა ულიდერა, რომელმაც 21 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა დააგროვა. 30 ქულით ბომბარდირი მალიქ უაითი გახდა, ჯილან ვაშინგტონის ანგარიშზე კი 17 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი აღმოჩნდა. ცხუმ-აფხაზეთში 22 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ალექსანდრე ფევაძე. 21 ქულა ჯოშუა მაკფოლმა მიითვალა, ტაილერ გრინის ანგარიშზე კი 17 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა.

### დაჯილდოების ცერემონიალი

სუპერლიგის მე-2 ადგილის მფლობელი გახდა საკალათბურთო გუნდი ცხუმ-აფხაზეთი, რომელიც ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს ვეტერანმა კალათბურთელებმა – გივი ბიჭიაშვილმა და ვლადიმერ ძიძიგურმა.

2020-21 წლების სეზონის სუპერლიგის ჩემპიონი რუსთავი ოქროს მედლებით კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა და ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დააჯილდოვეს.

### საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე

2020-21 წლების სეზონის საკალათბურთო სუპერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშისთვის დაწესებული იყო ზვიად მიქაძის სახელობის თასი. საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა საკალათბურთო კლუბ ვერას მოთამაშე ლუკა მაზიაშვილი, რომელსაც თასი ზვიად მიქაძის შვილებმა სალომემ და იოანამ გადასცეს.

### გამორჩეული ახალგაზრდა მოთამაშე

წლევანდელი სეზონის სუპერლიგის გამორჩეულ ახალგაზრდა მოთამაშედ თბილისის დინამოს მცველი ლუკა ბულაშვილი დასახელდა, რომელსაც გელა დარსაძის სახელობის თასი გადაეცა. ბულაშვილი გელა დარსაძის მეუღლე ნინო ადამიამ დააჯილდოვა.

### საუკეთესო მწვრთნელი

სუპერლიგის საუკეთესო მწვრთნელი გახდა ანატოლი ბოისა, რომელსაც ცნობილი მწვრთნელის გიორგი ავალიშვილის სახელობის თასი გადაეცა. ანატოლი ბოისა კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა დააჯილდოვა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია „აჭარაბეთმა", სუპერლიგის საუკეთესო მწვრთნელისთვის დააწესა ფულადი პრიზი – 3.000 ლარი.

### სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშე

დაჯილდოების ცერემონიალზე ცნობილი გახდა 2020-21 წლების სეზონის სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშე – მვპ. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სუპერლიგის გუნდების მწვრთნელებმა, სპორტულმა ჟურნალისტებმა, სუპერლიგის მსაჯთა კოლეგიამ და კომისრებმა, რუსთაველმა მაიკლ დევისმა გაიმარჯვა.

დევისს მვპ-ის თასი გადასცა საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა ასოციაციის თავმჯდომარე ლაშა გამყრელიძემ.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია „აჭარაბეთმა", სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშისთვის დააწესა ფულადი პრიზი – 3.000 ლარი.

### საჩემპიონო თასის გადაცემა

წლევანდელი, 2020-21 წლების სეზონის საკალათბურთო სუპერლიგის ჩემპიონი გუნდის, რუსთავის კაპიტან ლევან ცეკვავას საჩემპიონო თასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ტაბაღუამ გადასცეს.

# ვილი სანიოლი ქართველ მწვრთნელებს შეხვდა

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ახალი ტენდენცია დანერგა და საქართველოს ჩემპიონატის კლუბების მწვრთნელებს შეხვდა.

სასტუმრო „შერატონში" გამართული პირველი შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და 2 საათს გაგრძელდა. მხარეებმა ერთმანეთს ინფორმაცია გაუზიარეს და შეთანხმდნენ, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

**გიორგი ჭიაბრიშვილი, ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი:**

– ნამდვილად სხვანაირი მიდგომაა. პირველ რიგში, ვილიმ ჩვენს ფეხბურთელებს იმედი მისცა, რომ თუ საქართველოს ჩემპიონატში მაღალ დონეზე ითამაშებენ, ნაკრებში მოხვდებიან. ეს უმნიშვნელოვანესია. ეროვნული ლიგიდან ნაკრებში ფეხბურთელებს კი იძახებდნენ, მაგრამ სათამაშო დრო არ ეძლეოდათ, ახლა კი ძალიან ბევრს მიეცა ამის საშუალება და ეს არის იმედი. ეს არ ვრცელდება მარტო უმაღლეს ლიგაზე, ბავშვებსაც აქვთ იმედი, რომ ნაკრებში მოხვდებიან.

მეორეც: დღევანდელი შეხვედრა, ინფორმაციის გაცვლა, ეს არის სურვილი, რომ მან აქ კარგად იმუშაოს. როგორც არ უნდა წარიმართოს მისი საქმიანობა, უკვე ვხედავ დადებით ნაბიჯებს – იცხოვროს საქართველოში, ჰქონდეს კომუნიკაცია უმაღლესი ლიგის მთავარ მწვრთნელებთან, გაცვალოს ინფორმაცია, თავად მიიღოს რაღაც და უფრო მეტი გასცეს. ეს არის პულსზე ხელის დადება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას
„მადლიერების წიგნი"
ათასი მორჩენილი პაციენტის
სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

მკურნალობს: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ქიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ქილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თოჯინა „ბარბის" მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 9. შავი ფერის ალმასი; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. იაპონური ხის ქოშები; 14. ქართული ლუდი; 16. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 17. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 19. პოპულარული მაგიდის თამაში; 21. ალალბედზე მოქმედება.

**თარაზულად:** 5. მოხალული სიმინდი; 6. ფერწერული ტილოს, „მედეას" ავტორი ფრანგი მხატვარი; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. გურულების, აჭარლებისა და მესხების მოკლე ჩოხა; 13. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 15. ელექტროძრავების უძრავი ნაწილი; 18. მეფის მრჩეველი საქართველოში; 20. ესპანელი ჩოგბურთელი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ფრანგული საავტომობილო ფირმა; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. კერი; 3. კორექტურა; 4. ღალღა; 5. ყიფშიძე; 8. ხალისი; 9. პარანგონი; 12. ვარანი; 14. ივრითი; 16. აჭაშე. **თარაზულად:** 1. ჰინდუკუში; 6. პოტომაკი; 7. ნუსხური; 9. პოშტი; 10. დასი; 11. მიუზიკი; 13. უნისი; 15. ლაზიკა; 17. ფაიზური; 18. ხანძთა; 19. ქართლი; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრიუკი; 2. ათანელი; 3. ბერგმანი; 4. ტრიგლიტი; 8. გალაქტიკა; 9. კარიატიდა; 11. ლუსტრაცია; 12. ცემი; 14. ჯინი; 16. მოთხრობა; 17. მუკუზანი; 19. ყინული; 21. პენსი. **თარაზულად:** 5. პელვეცია; 6. ტალავარი; 7. ბუსუმატი; 10. ჩანაბი; 13. ხარატი; 15. ამნეზია; 18. ტონიკი; 20. ფადიკი; 22. შინშილა; 23. აბრიკოსი; 24. ათათინი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31
მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2779

ევრო — 3.9922

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6471

100 რუსული რუბლი — 4.4555

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისათვის




## სკაი ჰავერცი: „ჩემპიონთა ლიგის მოგებით ძალიან ბედნიერი ვარ“



ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირმა, ჩელსის 21 წლის გერმანელმა ფეხბურთელმა სკაი ჰავერცმა განაცხადა, რომ ის ყველაზე ბედნიერი ადამიანია მსოფლიოში და მისთვის ჩემპიონთა ლიგის მოგება ახდენილი ოცნებაა.

ჰავერცმა სიტის წინააღმდეგ ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლის გატანა შეძლო:

– ამწუთას არაფერი მაინტერესებს, რადგან ჩვენ ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ და სეზონის დასაწყისში ამაზე ვერც ვიოცნებებდი. მინდა, რომ ჩელსიში კიდევ ბევრი ტიტული მოვიგო.

## დე იონგი: „მინდა, რომ კუმანი დარჩეს“



ბარსელონის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა მთავარ მწვრთნელ რონალდ კუმანზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ გუნდში დარჩება, რადგან მასთან ერთად მუშაობა დე იონგისთვის სასიამოვნოა:

– კუმანის წასვლა ნამდვილად არ მინდა, რადგან ვთვლი, რომ ის ძლიერი სპეციალისტია და მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. იმედი მაქვს, რომ ის გუნდში დარჩება.

## პოჩეტინო რეალში?



ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოურისიო პოჩეტინოს პსჟ-ს დატოვება სურს და მზად არის, რეალის წინადადება განიხილოს.

რეალი ამჟამად მწვრთნელის ძიებაშია და პოჩეტინო ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილება. პოჩეტინოს გარდა, რეალის მწვრთნელობაზე პრეტენზიას ანტონიო კონტეც აცხადებს, რომელიც ინტერიდან წავიდა და ამჟამად გუნდის გარეშეა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბიჭმა მშობლების ახალ მანქანაში ფული იპოვა და მის პატრონს დაუბრუნა



ბიჭმა ამერიკის ინდიანას შტატიდან თავისი მშობლების ახალ ავტომობილში დამალული მსხვილი თანხით სავსე კონვერტი იპოვა.

ცხრა წლის ლენდონ მელვინმა გადაწყვიტა მშობლების კუთვნილი შევროლე სუბურბანი გაერეცხა, რომელიც მათ გასული წლის სექტემბერში შეიძინეს, მანქანის სალონში, ხალიჩის ქვეშ ბიჭმა ფულით სავსე კონვერტი აღმოაჩინა.

მან ამის შესახებ მამას შეატყობინა. ის ამ ამბავს სკეპტიკურად მოეკიდა, ვინაიდან იფიქრა, რომ კონვერტში უბრალოდ საბუთები იქნებოდა. ის გაოგნებული აღმოჩნდა, როდესაც კონვერტში ჩაიხედა და იქ კუპიურები დაინახა. კონვერტში ხუთი ათასი დოლარი აღმოჩნდა.

ოჯახი ავტომობილის ადრინდელ მფლობელებს დაუკავშირდა და ნაპოვნი ფული დაუბრუნა.

ჯილდოს სახით, მანქანის ყოფილმა მფლობელებმა ბიჭს ათასი დოლარი აჩუქეს, რომელიც ახლა იმაზე ფიქრობს, თუ რის ყიდვას შეძლებს ამ თანხით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

**31 მაისისათვის**



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, სიტყვები „ძნელია“, „რთულია“ და „მძიმეა“ სინონიმებია?

– არა, შვილო. „ძნელია“ უარის თქმა, დალევას რომ გთავაზობენ, „რთულია“ დოზის განსაზღვრა და „მძიმე“ უკვე მეორე დილითაა.

●●●

ტელეფონი რეკავს და მამაკაცის ხმა კითხულობს:

– ალო, ეს გაცნობის სამსახურია?

– დიახ.

– შეგიძლიათ დამეხმაროთ? ვეძებ ლამაზ ქალს, ჯანმრთელს, გაჩუმება რომ შეუძლია და სექსზე უარს რომ არ ამბობს.

– კი, არის მასეთი. ნასოსი გინდათ?

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– მზად ხართ ალკოტესტი გაიაროთ?

– მზად ვარ და რომელ ალკოჰოლზე?

●●●

ბიჭი შეყვარებულს ეუბნება:

– მინდა სიბერეს შენთან ერთად შევხვდე.

– სიბერეს ვერა, მაგრამ მალე გაჭაღარავებას გპირდები.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– როგორია ქეიფი რუსულად?

– რამდენიმე ბოთლი არაყი, ერთი ყუთი ლუდი, ძეხვი და ძაღლი...

– და ძაღლი რა შუაშია?

– აბა ძეხვი ვინმემ ხომ უნდა შეჭამოს...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რისი გაკეთება გიყვარს დილით, როდესაც ის-ისაა გაიღვიძე?

– ისევ დაძინება.

●●●

კაცი პოლიკლინიკაში ექიმს ეუბნება:

– გამარჯობათ, შარდი და განავალი მოვიტანე.

– ანალიზზე?

– არა, დეგუსტაციაზე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნუცა ბუზალაძე ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა



– მოვიგე! – სოციალურ ქსელში ასეთი მოკლე შეტყობინება გამოაქვეყნა ნუცა ბუზალაძემ და ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალის დაჯილდოებიდან ამონარიდი გაავრცელა.

ქართველი მომღერალი ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალში მიშო სულუხიას სიმღერით მონაწილეობდა. ნუცა 40 ფინალისტს შორის მოხვდა და ფინალში გამარჯვებაც მოიპოვა.

მიშო სულუხია, სიმღერის ავტორი:

– ეს იყო კონკურსი, სადაც ახალი სიმღერა იმარჯვებდა და, რომ არა ნუცა, ეს სიმღერაც არ გაიმარჯვებდა. ბრავო, ნუცა, გილოცავ, თავს მეც გამარჯვებულად ვგრძნობ და დიდი მადლობა ამისთვის.

## ნიკოლოზ რაჭველს ცილისწამებაში ადანაშაულებენ



ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელ ნიკოლოზ რაჭველს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრი ცილისწამებაში ადანაშაულებს:

– საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა გადაცემა „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“. გადაცემის სტუმრის, ნიკოლოზ მემანიშვილი-რაჭველის ბრალდებებს, ცილისწამებასა და უმეტესი ფაქტების დამახინჯებას აუცილებლად გაეცემა სათანადო პასუხები სოციალური მედიის სხვადა სხვასაშუალებით.

მანამდე კი გაეცანით ვახტანგ კახიძის 2016 წლის ინტერვიუს, რომელიც ძირითადად იმავე ბრალდებებს პასუხობს. გაგრძელება იქნება, – ნათქვამია ჯანსუღ კახიძის მუსიკალური ცენტრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

## პატარძეულში „გოგლაობა“ გაიმართა



საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით სახალხო დღესასწაული, „გოგლაობა“, გაიმართა, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო პოეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი ლეონიძის 122 წლის იუბილეს.

პატარძეულმა საქართველოს მთავრობის, კულტურის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მწერალთა კავშირის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

ღონისძიებას მსახიობი პაატა ქვლივიძე უძღვებოდა. „გოგლაობაში“ მონაწილეობდნენ: ფოლკლორული ანსამბლები: „გარეჯი“, „ჩინარი“, „ბერიკაცები“, „პატარა გარეჯელები“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, ასევე სოფელ პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც მხატვრულად წაიკითხეს პოეტის ლექსები.

მსახიობმა ნათელა დიღმელაშვილმა შეკრებილი საზოგადოებისთვის გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხიდან“ ფუფალა გააცოცხლა.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადარმა, ლიტერატურულ კონკურს „ნატვრის ხის“ ფარგლებში, გამარჯვებულ სამ შემოქმედ მოსწავლეს – ნინი ბუზარიაშვილს, გურამ სამუნაშვილსა და ნანა დონაძეს სიგელები გადასცა.

მწერალთა კავშირისგან მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მნიშვნელოვანი ჯილდო, „გიორგი ლეონიძის“ პრემია, მხატვარ შალვა მატუაშვილს გადაეცა.

„გოგლაობის“ დღესასწაულზე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ პოეტები და მწერლები, საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„გოგლაობა“ საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით ჩატარდა.

## სალომე ზურაბიშვილმა ქეთევან ასათიანი ღირსების ორდენით დააჯილდოვა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსი ქეთევან ასათიანი საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

ქეთევან ასათიანს ღირსების ორდენი გადაეცა საქართველოს ეროვნული არქივის ფონდების მეცნიერული კვლევისა და საზოგადოებისთვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

– ჩვენ აღვნიშნავთ იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ქართული იდენტობის, ქართული კულტურის შენარჩუნება-განვითარების საქმეში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, აღვნიშნო სწორედ ისეთი ადამიანების ღვაწლი, რომლებიც ჩუმად და შეუმჩნევლად აკეთებენ თავიანთ საქმეს. სწორედ ასე იქმნება ქართული კულტურის დიდი ბირთვი, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 3. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 4. იაპონური კოსმოსური თანამგზავრი; 5. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 8. საჩუქრად მირთმეული რამე; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 14. ფრანგი კომიკოსი; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 1. სამშობლოსგან განშორების სევდა; 6. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ზიარებისათვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის სასმისი ეკლესიაში; 9. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში; 10. ტბა აფხაზეთში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზია ლონდონში; 13. იტალიელი ფიზიკოსი, პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 19. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 20. ინდონეზიის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

